საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 12 იანვარი. 2017 წ. №7 (8144), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

გიორგი კვირიკაშვილი: ღამის კლუბებში პროსტიტუცია კანონის უხეში დარღვევაა

2

ლელვის ფოთოლზე ამოქარგული სიტყვა „დემოკრატია“

3



ნეოლიბერალები – მეწუმპეები...

მის სხეულს ერთ თვეს დატოვებენ სახრჩობელაზე დაკიდებულს. ახალი წლის წინა ღამეს მთვრალი გერმანელები გასართობ საგნად აქცევენ გოგონას გაყინულ სხეულს – სამიზნედ: ნიშანში ესვრიან, ხიშტებს უყრიან.

განათლებული ევროპა!..

თაღლითი მახრჩობელები

4

CAUCASUS AUTO IMPORT

საქართველოს საბიზნეო ქომპანია
GEORGIAN LEASING COMPANY

თუ მეტი არა, საქართველოს მოსახლეობის 80 პროცენტი საბანკო-საფინანსო მომსახურებით სარგებლობს, რომელთაგან ძალიან ცოტას თუ აქვს გააზრებული, თუ რამდენად მძიმე და სარისკოა მათთან ურთიერთობა ყველა ნიუანსის დაზუსტების გარეშე...

რობოტიზაცია ქართულად, ანუ რატომ არ უნდა ვენდოთ „კავკასიის ავტოიმპორტს“?!

ვენდეტა აფხაზურად,

8

ანუ აფხაზეთი მკვლელობების სერიამ შეძრა

თბილისის (ბნ)ელიტა

ისევ ნულოვანი ტოლერანტობა?!

5

კახა კალაძე: საქართველო გაზპრომის წინადადებას დათანხმდა... ოლონდ დათმობაზე არ წასულა

2

რუსუდან შარაძე: რატომ დათარეშობენ მკვლელები?!

5

დონალდ ტრამპი: მხოლოდ ბრიყვებს და სულელებს მიაჩნიათ, რომ რუსეთთან მეგობრობა ცუდია!

მხატვარი – მწერლის მესაიღუმლე



7

როსტომ ჩხეიძის „დროის იეროგლიფები“

საქართველოს მთავრობაში გვარების – „პუტინი“, „პუშკინი“ წარმოთქმისაც კი ეშინიათ!

8

პრემიერი: ღამის კლუბებში პროსტიტუცია კანონის უხეში დარღვევაა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ღამის კლუბებთან დაკავშირებულ განცხადებაზე განმარტება გააკეთა.

„მინდა, დამატებით განმარტება გავაკეთო მთავრობის სხდომის დაწყებამდე გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით, ვინაიდან, როგორც დავაკვირდი, მოხდა არასწორი ინტერპრეტირება და აბსოლუტურად არასწორი მიმართულებით წავიდა დასკვნები, რომლებიც გამოიტანეს. ღამის კლუბებში, რომლებიც, ძირითადად, კონცენტრირებულია „რესპუბლიკის მოედნის“ ქვეშ, არის ძალიან სამწუხარო რეალობა. მე ვახსენე, რომ ადგილობრივ, ქართული ეროვნების მამაკაცებს არ უშვებენ და რატომღაც მოხდა ინტერპრეტირება, თითქოს მე ვზრუნავ იმაზე, რომ ქართველი მამაკაცები ღამის კლუბებში შეუშვან. არა, მეგობრებო! ძალიან სამწუხაროა, თუ ვინმემ ეს ასე გაიგო. ჩემთვის სამწუხარო არის ის, რომ ამ კლუბებში ადგილი აქვს პროსტიტუციას, მათ შორის ჩვენი არასწრულწლოვანი მოქალაქეების. არც ერთი ქართველი მამაკაცი არ მოითმენს იმას, რაც იქ ხდება და სწორედ ამიტომ არ უშვებენ ქართველ მამაკაცებს ამ კლუბებში. ეს არის ის მწარე რეალობა, რომელიც ჩვენ გვაქვს და ამის წინააღმდეგ ზომების მიღება დავავალე შინაგან საქმეთა სამინისტროს. ასევე, ამ სიტუაციის შესწავლა დავავალე ადამიანის უფლებების საკითხებში ჩემს თანაშემწეს, სოფო ჯაფარიძეს, ვინაიდან, შესაძლოა, ირღვეოდეს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა, იმ კუთხით, რომ უშვებენ მდედრობითი სქესის ადამიანებს და არ უშვებენ მამრობითი სქესის ადამიანებს“, — აღნიშნა პრემიერმა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, ქართველი მამაკაცების არშეშვება არის პრობლემა მხოლოდ იმ კუთხით, რომ იქ ხდება ქართველი არასწრულწლოვანი გოგონების ჩართვა პროსტიტუციაში.

„ძალიან კარგად მესმის, რომ ეს არის ძალიან ემოციური საკითხი, მათ შორის ჩემთვისაც, მაგრამ აქ საკითხი ეხება კანონდარღვევას და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის უფლება არავის უნდა ჰქონდეს, მათ შორის არც იმ უცხოელ ინვესტორს, რომელიც იქ ინვესტიციებს ახორციელებს. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, იქ ხდება ბევრი კანონდარღვევა — პროსტიტუცია საქართველოში კანონდარღვევაა. განსაკუთრებით მძიმეა, რომ არასწრულწლოვნების ჩართვა ხდება პროსტიტუციაში. ამის დასადასტურებლად და ხაზგასასმელად მოვიყვანე ის მაგალითი, რომ უშვებენ მხოლოდ მდედრობითი სქესის ადამიანებს და არ უშვებენ მამრობითი სქესის ადამიანებს, რადგან ქართველი მამაკაცისთვის განსაკუთრებით აუტანელია იმის ყურება, რაც იქ ხდება. ეს არის ეროვნული ღირსების საკითხიც და ჩვენ ეს არ უნდა დავმალოთ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ, რომ სტიქიურად, ემოციების აგორებით მოხდეს ამ საკითხის გადაწყვეტა. პირიქით, იმიტომ გამოვიტანე ეს საკითხი საჯაროდ და დავალება მივეცი სახელმწიფო ინსტიტუციებს, რომ მათ გადაწყვიტონ კანონმდებლობის ფარგლებში“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

ჯანელიძე ერდოღანს შეხვდა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე ანკარაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს რეჯეფ თაიფ ერდოღანს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა კმაყოფილებით დააფიქსირეს ორ ქვეყანას შორის მჭიდრო მეგობრული და სტრატეგიული ურთიერთობების არსებობა. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა რეგიონულ სატრანსპორტო და ენერგეტიკულ პროექტებზე და მათი რეალიზაციის პროცესში მხარეებს შორის აქტიური თანამშრომლობის მნიშვნელობაზე.

ხაზი გაესვა მაღალი დონის ვიზიტების არსებული დინამიკის შენარჩუნებისა და შემდგომი გააქტიურების აუცილებლობას. ასევე აღინიშნა კულტურის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის მნიშვნელობა და ხალხთაშორისი კავშირების ხელშეწყობა.

მიხეილ ჯანელიძემ დაგმო უკანასკნელ პერიოდში თურქეთში მომხდარი ტერორისტული აქტები და სრული მხარდაჭერა და სოლიდარობა გამოხატა თურქეთის ხელისუფლებისა და თურქი ხალხის მიმართ.

თავის მხრივ, თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ანკარის ურყევი მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ.

კახა კალაძე: საქართველო გაზპრომის წინადადებას დათანხმდა

ძვეყანა 2018 წლიდან მაგისტრალური გაზსადენით გატარებული ბუნებრივი აირის ტრანზიტის საფასურს გატარებული ბუნებრივი აირის 10%-ის ნაცვლად ფულად ანაზღაურებას მიიღებს, — განაცხადა ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, 2017 წლის მანძილზე ნაწილობრივ კვლავ ნედლეულით, ნაწილობრივ კი — ფულადი ანაზღაურება. კალაძემ აღნიშნა, რომ ამ ცვლილებით საქართველოს ენერგოდამოკიდებულება რუსეთზე არ გაიზრდება.

„მთავრობის სხდომაზე განვიხილეთ გაზპრომ-ექსპორტის საბოლოო წინადადება სომხეთში ბუნებრივი აირის ტრანზიტთან დაკავშირებით. როგორც მოგეხსენებათ, ხელშეკრულების მოქმედების ვადა დასრულებულია. ხელშეკრულებას, რომელიც 2016 წელს იყო გაფორმებული, 31 დეკემბერს გაუვიდა ვადა. თუმცა რამდენიმერაუნდიანი მოლაპარაკებების შედეგად შევძელით გაზპრომ ექსპორტისგან არსებული გარემოებების გათვალისწინებით ოპტიმალური წინადადების მიღება. მთავრობამ იმსჯელა ამ შემოთავაზებაზე და მიიღო ხელშეკრულების გაფორმების გადაწყვეტილება. ამ ხელშეკრულებით, მე ხაზი მინდა გავუსვა, საქართველოს დამოკიდებულება რუსეთის ენერგომატარებლებზე არ იზრდება. იცვლება მხოლოდ გადახდის ფორმა, რაც გულისხმობს ნედლეულით ანაზღაურების ნაცვლად საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამის ფულად ანაზღაურებაზე გადასვლას. რაც შეეხება საქართველოსთვის გადასახდელ ტრანზიტის საფასურს, ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ევროპის ქვეყნებს შორის“, — ამბობს კალაძე.

საქართველო გაზპრომთან დათმობაზე არ წასულა

ენერგეტიკის მინისტრი ამბობს, რომ საქართველო გაზპრომთან მოლაპარაკებების დროს პოზიციების დათმობაზე არ წასულა.

„ჩვენ დღეს ხელშეკრულება არ გვაქვს. მას 31 დეკემბერს გაუვიდა ვადა. თქვენ იცით, რომ მათი მოთხოვნა იყო, გადავსულიყავით ფინანსურ ანაზღაურებაზე, როგორც ეს ნორმალურ, განვითარებულ ქვეყნებში ხდება, ტრანზიტის საფასურის გადახდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ჩვენ ვერ შევთანხმდებოდით, ჩვენ შეგვეძლებოდა, გაგვეგრძელებინა ბუნებრივი აირის წამოღება არაკანონიერად, ანუ მოგვეპარა მილში გატარებული ბუნებრივი აირი. შემდეგ ამას მოჰყვებოდა სასამართლო დავა და ეს გაცილებით დიდი ზიანის მომტანი იქნებოდა ჩვენი ქვეყნისთვის,“ — განაცხადა კახა კალაძემ.

სესხების გალარების პროგრამას ეკონომიკის ექსპერტები დადებითად აფასებენ

ეკონომიკის ექსპერტ **ლევან კალანდაძის** განცხადებით გალარების პროგრამით მოქალაქეებისთვის ლარის კურსის ცვლილებით გამოწვეული დანაკარგები შესუსტდება და, აქედან გამომდინარე, ეს იქნება ფინანსური სტაბილიზაციისთვის პოზიტიური შედეგის მომტანი.

„აღნიშნული ფინანსური ტვირთის ერთ-ერთი გამოხატულებაა ის, რომ მოქალაქეების უმრავლესობას დოლარში აქვს სესხი. გალარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მოქალაქეებზე ფინანსური დანაკარგების რისკის შემცირებას. მოქალაქეებს ექნებათ შესაძლებლობა, საკუთარი სურვილის შემთხვევაში დოლარში ნომინირებული იპოთეკური სესხები ლარში გადაიტანონ“, — განაცხადა ექსპერტმა. მისი თქმით, ეს არის მნიშვნელოვანი კომპონენტი იმ მთლიან გეგმაში, რომელიც ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობას უკავშირდება.

„მაღალი დოლარიზაცია პრობლემებს ორი მიმართულებით ქმნის. ჯერ ერთი, მაღალი დოლარიზაციის შემთხვევაში სახელმწიფოს, მათ შორის, ეროვნული ბანკის ზემოქმედება ეკონომიკაზე შეზღუდულია. მაღალი დოლარიზაციის შემთხვევაში, მისი ეფექტურობა გაცილებით ნაკლებია. ასეთ დროს, ქვეყნის ეკონომიკისა და საზოგადოებისთვის გაცილებით მაღალი რისკებია გარე შოკების ზემოქმედების შემთხვევაში. ეკონომიკა არის დაუცველი. ამდენად, ვემხრობი, რომ ლარიზაციის მიმართულებით სახელმწიფომ ღონისძიებები გაატაროს“.

ტარიელ ლონდარიძე სააკაშვილს ტოვებს

გადავწყვიტე, დავტოვო მიხეილ სააკაშვილი და ვცადო, დავუმტკიცო საკუთარ თავს, რომ მის გარეშეც შემიძლია, ვებრძოლო ჩემი ქვეყნის მტრებს, — წერს ფეისბუქზე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი ტარიელ ლონდარიძე.

„ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ენმში მიმდინარე დაპირისპირებაში მიხეილ სააკაშვილის როლია, რომელმაც ვერ შეძლო პარტიაში დაპირისპირების განმუხტვა და გამაერთიანებელი ლიდერის როლის შესრულება, რაც, პირადად ჩემთვის, ძალიან სამწუხარია. დრო გაივლის, ნებათაღელვა ჩაცხრება, ცივ გონებაზე თითოეული დაფიქრდება და დასკვნებს გამოიტანს, მე კი გადავწყვიტე, დავტოვო მიხეილ სააკაშვილი და ვცადო, დავუმტკიცო საკუთარ თავს, რომ მის გარეშეც შემიძლია, ვებრძოლო ჩემი ქვეყნის მტრებს.

იმედს ვიტოვებ, დადგება კვლავაც გაერთიანების დრო“... — აღნიშნავს ლონდარიძე.



ლელვის ფოთოლზე ამოქარგული სიტყვა „დემოკრატია“

უდროო დროს იყივლა მამალმა ახალი წლის დადგომა, ცეცხლის სიმბოლომ.

გამანადგურებელი სტიქიის დროის ათვლა დაიწყო 2017 წლის იანვარმა.

ისევ ომი და „ცხელი წერტილები“, რომელთა რაოდენობამ დღევანდელ მსოფლიოში 27-ს მიაღწია? ისევ „წერტილოვანი დარტყმები“, ომის წარმოების „კაცთმოყვარულ“ მეთოდად რომ იყენებდნენ ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში „დიქტატორული რეჟიმების“ გასანადგურებლად?

უკვე გამოჩნდა ნიშნები, რომ, თუ რამ შეიცვლება ამ მიმართულებით, მხოლოდ ტაქტიკური დარტყმების სამიზნეების ჩანაცვლების კუთხით: მატერიალური სივრციდან სულიერ სამყაროში გადანაცვლების, რწმენისა და სულიერ ღირებულებათა მოშლა-განადგურების თვალსაზრისით.

„კოჭლი იხვის“ ადმინისტრაცია მოღვაწეობის ვადის ამოწურვის ჟამს დანაღმულ „ობიექტებს“ ტოვებს, ალეპოდან გაყრილი ტერორისტების მსგავსად, რაც ფრიად სამწუხაროა რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობის გაუმჯობესების შესაძლო პერსპექტივის ფონზე.

განვიხილოთ ერთი კონკრეტული ფაქტი, რომელშიც გმირობის, თავგანწირვის, იდეისთვის თავდადების, სამოქალაქო მოვალეობის შესასრულებლად საკუთარი სიცოცხლის გაწირვის ისტორიული მაგალითი არანორმალურ, ავადმყოფურ, აბსურდულ ქმედებად არის წარმოჩენილი, გალაშქრებად საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტების საწინააღმდეგოდ: „გმირობა არის რელიგია, რწმენის გამოვლენის უმაღლესი ფორმა. ჯოჯოხეთის უკუნეთის დაძლევა სამოთხის ნათებით“.

ახლახან რუსეთს მოუსინჯეს კბილი – სამამულო ომის დროს პირველი ქალი, რომელსაც საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა (სიკვდილის შემდეგ), ფაშისტების მიერ მხეცურად ნაწამები 18 წლის პარტიზანი ზოია კოსმოდემიანსკაია სულით ავადმყოფად გამოაცხადებინეს ყოფილ ფსიქიატრს რუსეთის ერთ-ერთ ტელეარხზე, კერძოდ, ვიქტორ შენდეროვიჩის პროგრამაში „ექიმ-ტვინოლოგად“ „მომუშავე“, ამჟამად კი ამერიკაში გალაღებულ ანდრეი ბილჟოს (იხ. ინტერნეტსაიტი The Insider-ის 9 დეკემბრის გამოშვება).

ეს ბილჟო ირწმუნება, რომ ნახა დოკუმენტები, რომლებშიც დამოწმებულია ზოია კოსმოდემიანსკაიას ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში მკურნალობის ფაქტი. ეს ყოფილი ფსიქიატრი ფანტაზიის აფრებს უშვებს და ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ კოსმოდემიანსკაიას მიერ თანამებრძოლების გაუცემლობა ნებისყოფის უძლიერესი კონცენტრაციის შედეგი კი არ იყო, არამედ სტრესული გარემოებით გაძლიერებული დაავადების – შიზოფრენიის გამწვავების გამოვლენა, კერძოდ, აუტიზმისა, როცა ადამიანს მეტყველების უნარი ეკარგება.

მაშასადამე, გმირობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება.

პროპაგანდისტული ტრიუკია.

მცირე წიაღსვლა:

ფსიქოლოგები გვასწავლიან, რომ ადამიანებისთვის დამახასიათებელია იდეალიზაციისკენ მისწრაფება. ამის მაგალითებს განათლებული მკითხველი უხვად იპოვის მსოფლიო ლიტერატურაში, ფოლკლორში და, რა თქმა უნდა, მითოლოგიაში.

იდეალიზაცია სჭირდება საზოგადოებას, როგორც მამოძრავებელი ძალა, რომლის გარეშე ბოროტის ძლევა შეუძლებელია.

იდეალიზაციის ნაყოფია სამამულო ომის გმირთა სახეებიც, ხატება მათი, რომლებიც ფაქტებზეა აღმოცენებული და მიჩნეულია მისაბაძ მაგალითად, თაობათა მორალური ჩამოყალიბების ორიენტირად.

ასე იყო ყოველთვის.

ახლა დესაკრალიზაციაა მოდური – დილეტანტიზმის პროფესიად ქცევის შედეგი, რომელსაც თავს გვახვევენ ნეოკონები და ათასი ჯურის ნეოლიბერალები.

მეწუმპეები...

მაინც რა მოხდა 1941 წლის სუსხიანი ნოემბრის დასასრულ სოფელ პეტრიშევოში?

ამ დასახლებიდან კრემლამდე დაახლოებით ოთხმოცი კილომეტრია. ვერმახტის ნაწილები მოსკოვს უახლოვდებიან.

სტალინი კონტრშეტევისთვის ემზადება. უმაღლესი მთავარსარდლობა თავს უყრის რეზერვებს გადამწყვეტი დარტყმისთვის. გაცემულია ბრძანება, რომ შეტევის მთელ ფრონტზე მტერს მხოლოდ გადამწვარი სივრცე უნდა დახვდეს – ნანგრევები, ნასოფლარები, ნასახლარები. პარტიზანებსა და სპეციალური დანიშნულების რაზმებს უნდა დაეწვათ ყველა შენობა, რომლებიც ფაშისტებს თავშესაფრად შეეძლოთ გამოეყენებინათ.

ყინვაა და თოვლი... და რუსეთის უსიცოცხლო ტრამალები.

ჯგუფს, რომელშიც ზოია კოსმოდემიანსკაია შედიოდა, დაავალეს მტრის მიერ ოკუპირებული ტერიტორიის სიღრმეში შეღწევა და აღნიშნული ბრძანების განხორციელება.

სოფელ პეტრიშევოს ერთ სახლში ფაშისტების მეკავშირეთა შტაბი იყო განლაგებული. ამ შტაბის „გამწევი ძალისთვის“ – საჯინიბოსთვის ცეცხლის წაკიდებას რომ აპირებდა, მაშინ დააცხრნენ ზოიას რაიხის „მამაცი“ მეომრები. ჩასაფრებულები იყვნენ, ადგილობრივი მცხოვრების მიერ გაფრთხილებულები.

ერთი ბოთლი შინნახადი არყით – „სამოგონით“ გადაიბირეს იქაური პოლიცია!

29 ნოემბრის ღამითვე იწყებენ ხელებდაბორკილი გოგონას წამებას, გამეტებით ურტყამენ წიხლებს, ჰგლეჯენ ფრჩხილებს, ერთი ჰიტლერელი წელში მის გადახერხვასაც მოინდომებს, მაგრამ შეაჩერებენ: მკვდრისგან, აბა, რას შეიტყობდნენ?!

ზოია არ გასცემს თანამებრძოლებს.

დილით ფაშისტები ხალხს შეჰყრიან ეშაფოტთან, სოფლის ცენტრში, ადგილობრივებს. სახრჩობელაზე აიყვანენ ზოიას.

– სტალინი მოვა, სტალინი შურს იძიებს! – ეს იყო მისი სიკვდილისწინა შეძახილი.

მის სხეულს ერთ თვეს დატოვებენ სახრჩობელაზე დაკიდებულს. ახალი წლის წინა ღამეს მთვრალი გერმანელები გასართობ საგნად აქცევენ გოგონას გაყინულ სხეულს – სამიზნედ: ნიშანში ესვრიან, ხიშტებს უყრიან.

განათლებული ევროპა!..

ამ ყველაფრის თვითმხილველები იყვნენ იმ სოფლის მკვიდრნი, რომელთა მონათხრობით აღადგენენ ფრონტელი კორესპონდენტები იმდღევანდელი ტრაგედიის სურათს. გაზეთი „პრავდა“ ექვსსვეტიან მასალას გამოაქვეყნებს სათაურით „ტანია“ (ზოიამ დაკითხვისას თქვა, რომ ტანია ერქვა). 1942 წლის 18 თებერვალს კი იბეჭდება მეორე ნარკვევი: „ვინ იყო ტანია“ – მოსკოვის ერთ-ერთი სკოლის მეათე კლასის მოსწავლე ზოია ანატოლის ასული კოსმოდემიანსკაია.

ასე შეიქმნა ლეგენდა ზოიაზე – გმირ ქალიშვილზე, შეიქმნა და გავრცელდა, ვითარცა ნიმუში სამშობლოსთვის თავგანწირვის, ომის პირობებში ასე აუცილებელი გმირის ხატება. ნიშანდობლივია: მისი სკოლელები, ყველა, ვისაც ასაკი უწევდა, მოხალისედ წავიდა ფრონტზე.

ასეთია სიმართლე.

ისტორიის წამბილწველნი, ბილჟოსნაირი მორალისტები კი ხან იმას აცხადებენ, რომ იმ სოფელ პეტრიშევოში გერმანელები საერთოდ არ ყოფილან, მაშასადამე, არც არავინ დაუტყვევებიათ, ხან – ადამიანი კი არ ჩამოუხრჩვიათ, არამედ „ცალკეული ექსპონატი“.

შიზოფრენიით იყოო დაავადებული...

მე რა მაწუხებს?

ის, რომ ტვინების ამორეცხვის ინფორმაციული ტალღა ჩვენც გადმოგვწვდება. ცნობილი ამერიკელი ქორის, სენატორ მაკკეინის საქართველოში საახალწლო ვიზიტი ამის მანიშნებელი უნდა იყოს. ნაპოლეონ ბონაპარტი ამბობდა, რომ „მეხსიერებადაკარგული თავი გარნიზონის გარეშე მიტოვებულ ციხესიმაგრესა ჰგავს!“

გადმოგვწვდება თუნდაც იმიტომ, რომ ზოიას მსგავსი მაგალითი ქართველებსაც გვაქვს გმირი ქართველი გოგონას, თხუთმეტი წლის ლეგენდარული ირინა სხირტლაძის სახით, რომლის თავგანწირვას ბრწყინვალე ლექსი უძღვნა ჯანსუღ ჩარკვიანმა – „ირინოლა“. ამ ლექსის პოეტური რეფრენი, აფორიზმად ჩამოსხმული, ყველა ჭეშმარიტი ქართველის გულის ფიცარზეა ამოტვიფრული: „საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი“:

„მხოლოდ ცეცხლში,
მხოლოდ ცეცხლში,
ცეცხლში გამოიცადა,
პოლონეთში, პოლონეთშიც
საქართველოს იცავდა.
აჯანყდა და მტერი ხოცა,
ბინად ჰქონდა სანგარი,
საქართველოვ,
შენ ვინ მოგცა
შვილი დასაკარგავი...
ბოვინსკაში თეთრი გორა
მოუჩითავთ გვირილებს,
ირინოლა, ირინოლა,
ირინოლა, ირინე!“

გავიხსენოთ! და მოხალისეებად ჩავდგეთ ჩვენი რწმენის დაცარიელებული ციხე-გოდოლების დასაცავად, რადგან სიტყვამრუშობისა და უნამუსობის აღორძინებას ცდილობენ ის „აწყვეტილი მამულიშვილები“, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს ხუთდღიანი ომის დროს დედაწულიანად მიაწყდნენ საქართველოს საზღვარს „წითელ ხიდთან“.

„... და სარცხვენელზე აფარებულ
ლელვის ფოთოლზე
ამოქარგული სიტყვა მოჩანს:
„დემოკრატია“, – გვეუბნება აფორისტული აზროვნების უბადლო დიდოსტატი რეზო ამაშუკელი და მოგვიწოდებს:

„როდემდე ვდიოთ ამ ჩლიქოსნებს,
ამ ხვთით ნაკლულებს,
უწიგნურ ბოზებს,
ამ მანქურთებს,
ამ საჭურისებს?!“



არმაზ სანეგლიძე

P. S. „მამალმა იყივლა და გინდ გათენდეს, გინდ არაო“ (ხალხური).

ა. ს.

პოლიციელებმა მარიხუანის ჩითილები შეფუთეს და წაიღეს!

პოლიციელები გირჩის ოფისში მარიხუანის ჩითილები შეფუთეს და წაიღეს. ინფორმაციას ამის შესახებ პოლიტიკური გაერთიანების წევრი იაგო ხვიჩია ავრცელებს. **„გული მწყდება იმაზე, რომ ჩვენს მცენარეებს წაიღებენ“ დარწმუნებული არ ვარ, რომ მაინცდამაინც სათანადოდ მოუვლიან,“** – აცხადებს ხვიჩია.

„მოულოდნელი არაფერი ხდება. ჩვენ ამ ყველაფრისთვის მზად ვიყავით. ამ აქციის ფასი ის იყო, რომ ასეთი რამ უნდა მომხდარიყო. აქედან გამომდინარე , მშვიდად ვართ. ვნახოთ სადამდე მივა ეს ყველაფერი. პოლიციაში დაბარება, ალბათ, იქნება, მაგრამ დაკავებას და მსგავს ღონისძიებებს, სიმართლე გითხრათ, არ ველოდები,“ – აცხადებს ხვიჩია.

ამოიღეს დიდი ოდენობის ნარკოტიკი

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1973 წელს დაბადებული, ისრაელის რესპუბლიკის მოქალაქე მ.ც. თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ბუპრენორფინის შემცველი ნარკოტიკული საშუალების 104 აბი ამოიღეს.

ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად, მ.ც.-ს მარიხუანის და ბუპრენორფინის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

მსოფლიოში რამდენიმე ათეული წელია, ცდილობენ წარმატებით განახორციელონ ადამიანთა რობოტიზაციის პროცესი. სხვანაირად მას „ტვინის გამორეცხვას“ – ბუნებრივი ინტელექტის ხელოვნურით ჩანაცვლებას უწოდებენ.

ასეთ შემთხვევაში ადამიანები ნებაყოფლობით ამბობენ უარს საკუთარი ღირსების (ღვთით მინიჭებული საკუთარი უფლების) დაცვაზე და წესითა და კანონით მიუღებელს მისაღებად მიიჩნევენ – მათ თანდათან უქრებათ მოვლენის კრიტიკულად აღქმის (შეფასების) უნარი და ხაფანგში საკუთარი სურვილით ებმებიან!

პრაქტიკაში ადამიანთა რობოტიზაციის, ანუ ნებაყოფლობით მახეში გაბმის სხვადასხვა ხერხი არსებობს. ამჯერად ერთ-ერთ მათგანზე შევაჩერებ მკითხველთა ყურადღებას – ეს სწორედ ის მახეა, რომელშიც საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტია გაბმული. საუბარია საბანკო სისტემასთან (ზოგადად, საბანკო-საფინანსო ორგანიზაციებთან) დაკავშირებულ ურთიერთობაზე, რომელსაც პირობითად „ჩუმი საწამლავის“ კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს!

თუ მეტი არა, საქართველოს მოსახლეობის 80 პროცენტი საბანკო-საფინანსო მომსახურებით სარგებლობს, რომელთაგან ძალიან ცოტას თუ აქვს გააზრებული, თუ რამდენად მძიმე და სარისკოა მათთან ურთიერთობა ყველა ნიუანსის დაზუსტების გარეშე...

თალლითი მახრჩობელები

რობოტიზაცია ქართულად, ანუ რატომ არ უნდა ვენდოთ „კავკასიის ავტოიმპორტს“?!

ვიდრე ხელშეკრულებაზე ხელს მოაწერდეთ!

გარკვეულმა ძალებმა ყველაფერი გაეკეთეს იმისთვის, რომ ადამიანები მიზანმიმართულად გაეკოტრებინათ და ბანკებზე და ათასი ჯურის მევახშეებზე ყოფილიყვნენ დამოკიდებული. უკიდურესობამდე მისული თანამოქალაქენი „ხსნას“ (ისიც დროებით) ბანკებთან ურთიერთობაში ეძებენ – მთავარია, იმ მომენტში გადაწყვიტონ თავსდამტყდარი პრობლემა, იმას კი ნაკლებად ფიქრობენ, როგორ დაუბრუნდებით უკან ბუმერანგივით გაუაზრებლად გადადგმული ნაბიჯები.

მთელი უბედურება იმაშია, რომ მათ არც აინტერესებთ რა წერია იმ ხელშეკრულებაში, რომელსაც ხელს „სიამოვნებით“ აწერენ, ოღონდ, იმ მომენტში მისაღები მიიღონ და „ცეცხლი ჩააქრონ“!

ფაქტია, ზოგიერთი (ნეგატიური ემოციებისგან დამძიმებული) არც კითხულობს, რა წერია ხოლო, ზოგს იმის კომპეტენციაც არ ჰყოფნის, დეტალურად გაშიფროს რა უბედურებას უმზადებს იგი საკუთარ თავს!

თუმცა, ნიშანდობლივია ისიც, რომ ხშირად ხელშეკრულების პუნქტები ისეა „ჩახუჭუჭებულ-ჩაგვირისტებული“, ჩვეულებრივი კლიენტი თავსა და ბოლოს ვერ გაუგებს. ჩემი აზრით, ეს საბანკო-საფინანსო სტრუქტურების მხრიდან არა იმდენად საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის არცოდნითაა განპირობებული, რამდენადაც შეგნებულად კეთდება ყველაფერი, რომ ე.წ. კლიენტი ურთიერთგამომრიცხავი აბდაუბდის არსში არ ჩაწვდეს!!!

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ხელშეკრულება ორმხრივი (მრავალმხრივი), თანაბარი უფლება-მოვალეობებით დატვირთული დოკუმენტია, საქართველოში ეს პირობა დარღვეულია – ყველა უფლება საბანკო-საფინანსო ორგანიზაციების მხარეზეა და შენ ვალდებული ხარ დაეთანხმო – მათი არგუმენტი ქვას გახეთქავს: ის ხომ არ მოსულა შენთან, შენ მიხვედი მასთან, გინდა „დახმარება“. რადგან ასეა, ყველა პირობას უნდა დამორჩილდე – რა საჭიროა ხელშეკრულების პუნქტების დეტალური განხილვა, მაინც არაფერი შეიცვლება!

სამწუხაროდ, ბევრი მინახავს საბანკო-საფინანსო ორგანიზაციებისგან მოტყუებული და გაუბედურებული ოჯახები, ძალიან გვიან რომ ხვდებიან, რა შეცდომა დაუშვეს, მაგრამ უკვე არაფერი ეშველებათ – მათი თანხმობა დადასტურებულია.

მადლობა ღმერთს, მეყო გონიერება, არ გავბმულიყავი საქართველოს სალიზინგო კომპანიისა და „კავკასიის ავტოიმპორტის“ მიერ „მოქსოვილ“ ბადეში. თუმცა, ეს ყველაფერი დროის და ნერვების ფასად კი დამიჯდა.

რატომ არ უნდა ვენდოთ „კავკასიის ავტოიმპორტს?!

დაახლოებით თვე-ნახევრის წინათ გადავწყვიტე, ე.წ. ჰიბრიდული ტიპის ავტომანქანა „ტოიოტა პრიუსი“ (საუბარია მეორად ავტომანქანაზე) განვადებით შემეძინა. ვარჩევდი ჩემთვის ხელსაყრელ კომპანიებს. ერთ-ერთი ვარიანტად „კავკასიის ავტოიმპორტი“ ვიგულე, რომელსაც ისეთი რეკლამა ჰქონდა სოციალურ ქსელში, რომ სხვაგან წასვლა არც მოგინდებოდა. საბოლოოდ არჩევანი სწორედ მასზე შევაჩერე. კომპანიაში მისვლისას წარმომიდგინეს ახალგაზრდა გაყიდვების მენეჯერი, რომელიც უნდა დამხმარებოდა სასურველი ავტომანქანის შერჩევაში.

CAUCASUS AUTO IMPORT

პირველივე შეხვედრაზე ინტუიციამ მიკარნახა, რომ შეიძლებოდა ადვილად მოვეტყუებინეთ!

რამდენიმე შეხვედრის შემდეგ კი გავწყვიტე კავშირი „კავკასიის ავტოიმპორტთან“ და სხვა ვარიანტების მოსიჯვა დავიწყე.

დაახლოებით ორი კვირის შემდეგ მირეკავს ჩემი „მენეჯერი“ და მარწმუნებს, რომ ძალიან ხელსაყრელ პირობებს მთავაზობს. მთხოვს, მასთან გავაგრძელო თანამშრომლობა.

საქართველოს სალიზინგო კომპანია
GEORGIAN LEASING COMPANY

კომპანიაში ახლა უკვე ჩემს უახლოეს მეგობართან ერთად მივედი, რომელიც კარგად ერკვევა ამ ნიუანსებში და შეცდომის დაშვების უფლებას არ მომცემდა.

საბა (ასე ერქვა მენეჯერს), რომელსაც აშკარად უჭირდა ეპასუხა ჩვენს მიერ დასმულ ე.წ. „ჯვარედინ“ კითხვებზე, თავის კოლეგებს უხმობდა ხოლმე (ხან მენეჯერად გვაცნობდა, ხან დეპარტამენტის უფროსად) და ამით ცდილობდა მეტი დამაჯერებლობა მიეცა კომპანიის იმიჯისთვის. იგი ყოველთვის მიმტკიცებდა, რომ მე ჩამბარდებოდა ქარხნული წესით აღდგენილი, უნაკლო ავტომანქანა და რაც მთავარია, კომპანია პასუხს აგებდა ავტომანქანის ძრავისა და გადაცემათა კოლოფის გამართულობაზე (ამასთან, ყოველთვის მიდასტურებდა, რომ მე გამართული ავტომანქანის მისაღებად ერთი თეთრის დამატებაც არ დამჭირდებოდა).

კომპანიის გაყიდვების მენეჯერი მარწმუნებდა, რომ შემოთავაზებული ავტომანქანები შერჩეული იყო მათი ექსპერტების მიერ, ანუ ყველა მათგანზე არსებობდა ექსპერტების კვალიფიციური დასკვნა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ყველა ხარჯი წინასწარ იყო დათვლილი.

სამწუხაროდ, „ავტოიმპორტმა“ ვერ შეასრულა თავისი პირობა – როგორც ღრმადპატივცემული მენეჯერი ამბობდა, მიზეზი ის გახლდათ, რომ ჩემს მიერ შერჩეული ავტომანქანები აუქციონზე დაფიქსირებულზე უფრო ძვირად იყიდებოდა და შეთანხმებულ თანხაში ვერ ეტეოდნენ, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ მე დამატებით გადახდაზე თანხმობა უნდა განმეცხადებინა, რაც არ გავაკეთე!

ბოლოს ისევ ჩემს მეგობართან ერთად მივედი „ავტოიმპორტში“ და მოვთხოვე: თუ ორ დღეში არ შეიძენდნენ ჩემთვის სასურველ ავტომანქანას, დაებრუნებინათ ჩემს მიერ ავანსად გადახდილი თანხა და შევწყვეტდი მათთან თანამშრომლობას. იმავე დღეს მაცნობეს, რომ ჩემთვის სასურველი ავტომანქანა უკვე შეძენილია და ხელშეკრულების გასაფორმებლად ახალი წლის შემდეგ შემეხმიანებოდნენ.

4 იანვარს მართლაც შემეხმიანა საქართველოს სალიზინგო კომპანიის წარმომადგენელი, დააზუსტა ყველა მისთვის საჭირო ინფორმაცია და გამაფრთხილა, რომ ხელშეკრულებაზე ხელმოსაწერად მომდევნო დღეს დამირეკავდა.

მეორე დღეს ჩემს მეგობართან ერთად (რომელიც კარგად ერკვევა სახელშეკრულებო ურთიერთობათა პრაქტიკაში) ვესტუმრე სალიზინგო კომპანიის წარმომადგენელს, მან თავაზიანად გამომიწოდა სალიზინგო და ნასყიდობის ხელშეკრულებების პროექტები და მანიშნა ხელი მომეწერა მათზე.

თვალის ერთი გადავლებითაც შევნიშნეთ, რომ ორივე ხელშეკრულებაში იყო ისეთი „ხვრელები“, რომელიც ჩემთვის მიუღებელი ჩანდა, ამიტომ ვითხოვე დაერთოთ ნება არადამთრგუნველ გარემოში გავცნობოდი დოკუმენტურად წარმოდგენილ პირობებს და მერე ხელმოწერით დამეფიქსირებინა საკუთარი გადაწყვეტილება. დიდი კამათისა და აყალმაყალის შემდეგ ინებეს გამოეტანებინათ ხელშეკრულებათა პროექტები, რათა დეტალურად გავცნობოდით იქ ჩამოყალიბებულ პირობებს.

პროექტების გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ არსებითად იყო დარღვეული ზეპირი შეთანხმება, რომელიც ჩამოყალიბდა ჩემსა და „კავკასიის ავტოიმპორტის“ წარმომადგენლებს შორის.

კერძოდ, ნასყიდობის ხელშეკრულების პროექტს არ ახლდა 2.4.2. პუნქტში მითითებული „შესაბამისი სამუშაოების და საჭირო ავტონაწილების სრული ჩამონათვალი“, რაც მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი იყო ჩემთვის და რაც მაფიქრებინებდა, რომ სწორედ აქ იყო „ძაღლის თავი დამარხული“ – არ იყო დაკონკრეტებული, რაში უნდა დახარჯულიყო „სამუშაოებისთვის და ავტონაწილებისთვის“ გათვალისწინებული თანხა, რომელიც ავტომანქანის საერთო ღირებულებაში შედიოდა.

მეორეც, ნასყიდობის ხელშეკრულებაში ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელი აღმოჩნდა პუნქტი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, ჩემი მხრიდან დამატებითი ხარჯების გაღებას ითვალისწინებდა (ამაზე ზეპირი შეთანხმება არ ყოფილა).

ჩემთვის მიუღებელი აღმოჩნდა ლიზინგის გამცემის (საქართველოს სალიზინგო კომპანია) ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებული რამდენიმე პუნქტიც.

აქედან გამომდინარე, უარი განვაცხადე ხელშეკრულების ხელმოწერაზე, რის გამოც „კავკასიის ავტოიმპორტის“ წარმომადგენლებმა დაგვაშანტაჟეს: თუ ხელს არ მოვაწერდი ხელშეკრულებას, საავანსო თანხას დავკარგავდი, რადგან იგი ჯარიმის გადახდას მოხმარდებოდა!

ცხადია, არც ამ შანტაჟს ავყევი, რადგან, მე ჯერჯერობით არანაირი ვალდებულება არ მქონდა აღებული და იურიდიულად ვერ მაიძულებდნენ იმის გაკეთებას, რაც არ უნდა გამეკეთებინა!

საქართველოს სალიზინგო კომპანია – ქართული „მახრჩობელა“!

საქართველოში სალიზინგო კომპანიების არსებობის პრაქტიკას არც თუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს, მიუხედავად იმისა, რომ მათი საქმიანობა ცალმხრივად დისკრიმინაციულია, კლიენტებს მაინც არ უჩივის – ბევრი „სახრჩობელაზე“ საკუთარი ნებით მიდის – ისე აწერს ხელს ხელშეკრულებას, არც უფიქრდება, რა ზიანი შეიძლება მიადგეს მას ასეთი დაუფიქრებელი გადაწყვეტილების გამო.

გასაგებია, რომ სალიზინგო კომპანია ჩვეულებრივი საფინანსო სტრუქტურაა, რომლის მიზანი მოგების მიღებაა, მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს პარტნიორის უფლებების მაქსიმალურად დისკრიმინაციის ხარჯზე, რაც საქართველოს სალიზინგო კომპანიასთან მიმართებაში აშკარად გამოიკვეთა.

12-გვერდიანი ხელშეკრულების ბუნდოვან და ურთიერთგამომრიცხავ პუნქტებს არ შევეხები, ხაზს გავუსვამ მხოლოდ იმას, რაც ყველაზე მეტად ჩემთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

ხელშეკრულების პროექტის გაცნობამ დამარწმუნა, რომ საქართველოს სალიზინგო კომპანია და „კავკასიის ავტოიმპორტი“ ერთობლივად ქსოვენ „ბადეს“, სადაც გაუთვიცნობიერებელ, ან მაქსიმალურად გაჭირვებულ კლიენტს უკრავენ თავს... თუ ხელშეკრულებებზე ხელი ბრმად მოაწერეთ მერე, მოგჭამათ ჭირი – აიღეთ ვალდებულება? კეთილი ინებეთ და შეასრულეთ, ან ყველაფერი წყალში ჩაგეყრებათ, ანუ, როგორც უნდათ, ისე გატრიალებენ!

რამდენიმე კონკრეტულ ფაქტს მოვიყვან:

სალიზინგო ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტის თანახმად: თუ „კავკასიის ავტოიმპორტს“ შორის მიღწეული ზეპირი შეთანხმება დაირღვა და დამატებით თანხების გადახდას შემოგთავაზებენ, უპირობოდ (უსიტყვოდ) უნდა დამორჩილდე. ხოლო, თუ მანქანის შეძენა და მისი ტრანსპორტირება შეთანხმებულზე გაცილებით იაფი დაჯდა, ეს უპირობოდ მისი (სალიზინგო კომპანიის) შემოსავალია – შენ კი მაინც ვალდებული ხარ, გადაიხადო!

თუ სალიზინგო კომპანიამ ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებული პირობები დაარღვია, ეს არაფერი შეღავათია შენთვის – ყველაფერი ისე უნდა შეასრულო, როგორც ამას ხელშეკრულება ითხოვს, ანუ, ცალმხრივად!

კომპანია შენს მიერ შეძენილ ნივთში (ავტომანქანაში) ისე დაგიმონტაჟებს CPS-ს, არც შეგეკითხება, გინდა თუ არა ახალი მოთვალთვალე გაიჩინო (თითქოს გვაკლდეს), ხოლო, სალიზინგო ვალის დასრულების შემდეგ, გავალდებულებს მისი დემონტაჟი საკუთარი ხარჯებით გააკეთო.

ყველაზე თავზარდამცემი მაინც ისაა, რომ ლიზინგის გამცემი საკუთარ თავს აძლევს უფლებას „ნებისმიერ დროს ლიზინგის მიმღებისთვის საუარესოდ (მიაქციეთ ყურადღება!) ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება... საპროცენტო სარგებლის ოდენობის შეცვლის შესახებ“. წინასწარ არც გეუბნება, რამდენი შეიძლება იყოს სარგებლის შეცვლის მაქსიმალური ზღვარი.

თუ არ დაეთანხმე, ხელშეკრულება ჩაითვლება ცალმხრივად შეწყვეტილად, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა დააბრუნო ლიზინგით სარგებლობაში მიღებული ნივთი (ანუ ავტომანქანა) და ამასთან, მთლიანად უნდა დაფარო ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებული ყველა ფინანსური ვალდებულება.

კლიენტის (პარტნიორის) ამაზე მეტი დისკრიმინაცია, ალბათ, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ შეიძლება მოიძებნოს!!!

თუმცა, საქართველო მაინც საქართველოა!

* * *

ბოლოთქმა: არავინ იფიქროს, ეს სტატია „კავკასიის ავტოიმპორტზე“ და საქართველოს სალიზინგო კომპანიაზე შურისძიების მიზნით დაიწერა. უბრალოდ, არ გვინდა საქმეში ჩაუხედავი ადამიანები ამ ორი ანგაჟირებული კომპანიის ერთობლივი თაღლითური სქემის მსხვერპლი გახდნენ!

ზაურ ნაჭყებია

ისევ ნულოვანი ტოლერანტობა?!

„მთელი თფილისის“ საღამო...

„იქ იჯდა თფილისი“, — მარინა ბერიძის ეს განცხადება საზოგადოების აღშფოთების საფუძველი გახდა და თვლიან, რომ ბერიძემ ფაშისტური გამონათქვამების გამო ქართველ საზოგადოებას ბოდიში უნდა მოუხადოს. მუსიკათმცოდნე ბოდიშის მოხდას არ აპირებს, თუმცა დამატებითი განმარტება არ გაუკეთებია.

მარინა ბერიძე ერთ-ერთი იყო, ვინც 7 იანვარს „რუსთავი-2“-ის გენერალურ დირექტორთან ერთად იმყოფებოდა რესტორანში, რა დროსაც თავდასხმა მოხდა ნიკა გვარამიაზე. მომხდარიდან რამდენიმე წუთში მუსიკათმცოდნემ ასეთი კომენტარი გააკეთა.

„აბსოლუტურად გაოგნებული ვარ თფილისით, ამბით რაც მოხდა. ჩვენ ვიყავით ადამიანები რომლებიც ძალიან მძიმე სუფრიდან მივედით. იქ, მთელი საღამო ერთი სახელი ნიკა გვარამიას მამის, ანზორ გვარამიას სახელი ისმოდა. რაც მოხდა საოცარი იყო. ნიკას გვერდით მე ვიჯექი, ის ტელეფონში იყურებოდა, აბსოლუტურ სიბნელეში ორი ბიჭი, ვიმეორებ ორი ბიჭი...

ის ბიჭი წირავდა, მე არ ვიცი რატი იყო, შმატი იყო, გრეჩიხას შვილი იყო, მით უარესი, იმიტომ რომ იქ მარტო ნიკა გვარამია არ იჯდა, იქ იჯდა დათო დოიაშვილი, იქ იჯდა ნიკოლოზ რაჭველი და თუკი მეტყვის მე დიდი გრეჩიხა, რომ მაგათზე მეტი ამ ქვეყნისთვის რამე გაუკეთებია ვიდრე ამ ორ ადამიანს, რომლებიც არ გამოვლენ ტელეეკრანებთან, რადგან სხვა ადამიანები არიან. ისინი იქ იყვნენ... იქ იჯდა თფილისი“, — აღნიშნა მარინა ბერიძემ.

აღსანიშნავია, რომ მარინა ბერიძე ცნობილია თავისი არაკორექტული გამონათქვამებით, მაგრამ ყველა სხვა გამონათქვამებისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში ბერიძის განცხადებას საზოგადოების აღშფოთება მოჰყვა. ჟურნალისტი **ზვიად დოლიძე** ამბობს, რომ მისთვის გაუგებარია პრინციპი რას ნიშნავს — „იქ იჯდა თფილისი“.

„მთელი თბილისი არ იჯდა. მაგალითად, მე არ ვიყავი, თბილისის ნაწილად ვთვლი თავს. საერთოდ არ მესმის პრინციპი რას ნიშნავს „თბილისი იჯდა“? თბილისი რომ იჯდა, იმიტომ არ შეიძლებოდა ნიკა გვარამიას ცემა? მთელი თბილისი რომ არ მჯდარიყო, მაშინ არა უშავდა თუ ცემდნენ?! რა არგუმენტია, ვერ გავიგე. ზოგადად, მარინა ბერიძის სიტყვებზე კომენტარიც გამართლებულად არ მიმაჩნია“, — ამბობს ზვიად დოლიძე.

მისივე თქმით, ორი დღის განმავლობაში ნიკა გვარამიასგან ხუთი სხვადასხვა ინტერვიუ მოისმინა და მისი პოზიცია არ იცვლება. როგორც დოლიძე აცხადებს, ძალიან საინტერესოა, რას ნიშნავს ყოფილი გენერალური პროკურორის მოადგილის მხრიდან განცხადება, რომ „გაჩეჩილაძე მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯოს“. გვარამიამ არა მარტო იცის, არამედ მონაწილეობდა პროცესში, როდესაც სანდრო გირგვლიანის მკვლელები უმოკლეს დროში საპატიმროს გარეთ აღმოჩნდნენ.

„ზუსტად რესტორანში წარმოიშვა კონფლიქტი სანდრო გირგვლიანის შემთხვევაში, ისევე როგორც მაშინ, ახლაც ყოფით ნიადაგზე მოხდა ინციდენტი, ერთმა მეორე ცემა. გვარამია რომ უფრო ძლიერი ყოფილიყო და გაჩეჩილაძე ეცემა, მაშინ გვარამია უნდა დაეჭირათ? ვერ გავიგე. რესტორანში მოხდა ჩხუბი, ერთმა მეორე გალახა და სადმე წერია, რომ ვინც მოერია, ის არის დამნაშავე? ეს ფაქტი ძალიან გავს სანდრო გირგვლიანის საქმეს იმ სხვაობით, რომ გაჩეჩილაძემ გალახა გვარამია, თვითონ დაწერა ფეისბუქზე ამის შესახებ და წავიდა პოლიციაში.

გავიხსენოთ გირგვლიანის საქმე — კარებში დაახვედრეს ვიღაცები, ჩასვეს მანქანაში, წაიყვანეს ოქროყანის სასაფლაოზე და ცემით მოკლეს, მეორე შემთხვევით გადარჩა. საზოგადოების უსაშველო ზეწოლისა და მთელი მსოფლიოს ჩარევის შედეგად ის ხალხი დაიჭირეს და მხოლოდ წელიწად-ნახევარი ისხდნენ.

ამ ყველაფრის შემდეგ ნიკა გვარამია ითხოვს, რომ რატი გაჩეჩილაძე ციხეში ჩასვან. არ ყოფნის ის სასჯელი, რასაც 126-ე მუხლი ითვალისწინებს. ეს ჩვეულებრივი ავადმყოფობაა, რომელიც აღარ იკურნება, რაც სჭირთ ნაციონალურ მოძრაობასთან ოდნავ მაინც გაკარებულ ტიპებს“, — აცხადებს ზვიად დოლიძე.

როგორც დოლიძე აცხადებს, საზოგადოების მთავარი მოთხოვნა — სამართლიანობის აღდგენა, და რაშიც დამნაშავეების დასჯა იგულისხმებოდა, ჯერ კიდევ არ არის შესრულებული. მისი თქმით, ძალიან დიდი პრობლემაა ის, რომ ადამიანებს აქვთ ეს დანაკლისი და მათ შორის გაჩეჩილაძეების ოჯახს.

„განსაკუთრებული ზეწოლა იყო გაჩეჩილაძეების ოჯახზე. ყველამ იცის, რა უქნეს გია გაჩეჩილაძეს, სიკვდილის პირას მიიყვანეს. სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მთელმა თბილისმა იცის, რომ ლევან გაჩეჩილაძეს წაართვეს პრეზიდენტობა, უამრავი რამ იყო და ამას ჰქვია ყოფით ნიადაგზე და პირადი წყენის გამო წარმოქმნილი კონფლიქტი?!“

* * *

„ჯერ ერთი, მთელი თბილისი არ იჯდა. იჯდა რამდენიმე პიროვნება, რომელიც თბილისში ცხოვრობს. თბილისელობა რას ნიშნავს, სტატუსია თუ საცხოვრებელი ადგილი? მთელი ქუთაისი რომ მჯდარიყო შეიძლებოდა ასეთი რაღაც? ბერიძეს ვეკითხები. ამდენი ხანი ნიკა გვარამია, გურამ დონაძე და ათასი ძაღლი და მამაძაღლი, დამსახურებით ციხეში რომ მჯდარიყო და სამართალი აღსრულებულიყო, მაშინ სამართალის აღსრულების ისეთი ფორმა, როგორიც ლევან გაჩეჩილაძის შვილმა, რატიმ განახორციელა, სულაც არ იქნებოდა საჭირო. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ერთგვარი იძულებითი ფორმა და სხვა არაფერი, იძულებითი ფორმაა, როდესაც ხედავ, რომ დამნაშავე გარეთ დასეირნობს“, — აცხადებს **გიორგი იაკობაშვილი.**

იაკობაშვილის განცხადებით, ნიკა გვარამიამ, და არა მარტო მან, უნდა იცოდნენ, რომ საზოგადოებაში ყოველი ასეთი გამოჩენა და მით უმეტეს ასეთი თავხედური განცხადებების შემდეგ, რასაც ყოველდღე აკეთებენ, შეიცავს რისკს, რომ ასეთი ინციდენტით დამთავრდება, და ამას უნდა შეეგუონ.

„თუ არ უნდათ, რომ ასეთი ცხოვრებით იცხოვრონ, ან უნდა წავიდნენ ამ ქვეყნიდან, ან უნდა შეეშვან ასეთი განცხადებების გაკეთებას, ან ჩემთვის ყველაზე მისაღები იქნება, თუ ყველაფერს აღიარებენ რა ხდებოდა იმ წლებში, როგორ უწყობდნენ ხელს იმ დანაშაულებრივ რეჟიმს, რომლის ნაწილიც თვითონ იყვნენ, და თავისი ფეხით წავიდნენ ციხეში.

ნიკა გვარამია ამბობს, რომ ეს იყო ჯგუფური დანაშაული და იქითკენ მიჰყავს საქმე, რომ ეს ადამიანი, ან ადამიანები დიდი ხნით ჩასხდნენ ციხეში. მაშინ, მან ისიც უნდა თქვას, რატომ არ ისხდნენ ციხეში დიდი ხნით სანდრო გირგვლინის მკვლელები... პარლამენტმა ერთ დღეში განახორციელა კანონში ცვლილებები იმისათვის, რომ ეს ადამიანები ციხიდან გამოეშვათ. სანამ ციხეში ისხდნენ, არ მოკლებიათ ღვინო, დუდუკი და ქალები“, — ამბობს გიორგი იაკობაშვილი.

მისივე თქმით, ნაციონალური მოძრაობა იმსახურებს იმას, რაც მათ მთელი საქართველოსთვის ჰქონდათ გამოწერილი, კერძოდ — ყველანი ციხეში.

კეისარს კეისრისაო და ღმერთს ღმერთისაო, ნათქვამი რომ არის, აქ მარტო კეისარზე და ღმერთზე არ არის ნათქვამი. დონაძეს დონაძისა, გვარამიას გვარამიასი, სააკაშვილს სააკაშვილის და, საერთოდ, ნაციონალურ მოძრაობას უნდა მიეზღოს ის, რასაც იმსახურებს. ნაციონალური მოძრაობა ზუსტად იმას იმსახურებს, რაც მთელი საქართველოსთვის ჰქონდათ გამოწერილი, კერძოდ — ყველანი ციხეში.

ამიტომ, ჯერ მოიხადონ სასჯელი საქართველოს პენიტენციალურ დაწესებულებებში სრული შემადგენლობით და შემდეგ უნდათ — გაიყონ და სადაც უნდათ, ვისთანაც უნდათ და რაშიც უნდათ, იქ გაერთიანდნენ, — აღნიშნა გიორგი იაკობაშვილმა.

ფსიქოლოგი **რამაზ საყვარელიძე** აცხადებს, რომ ნაციონალების პოლიტიკაში გამჯდარი ნულოვანი ტოლერანტობა, რასაც მიხეილ სააკაშვილი იძახდა, ამის მოდელი გაათამაშა ნიკა გვარამიამ, რაც, მისი თქმით, კომიკურია იმდენად, რამდენადაც ნაციონალებმა და თავად გვარამიამაც კარგად იციან, რა ხდება.

„ილია ჭავჭავაძე რომ მოკლეს, მისმა მეუღლემ რუსეთის იმპერატორს მკვლელების შეწყალება სთხოვა. აღფრთოვანებული იყვნენ გურამიშვილის ქალის ტოლერანტულობით. ტოლერანტობა საგინებელი სიტყვა არ არის. პირიქით, ვისაც ტოლერანტობა არ შეუძლია, ის არის უბედური ადამიანი. ნულოვანი ტოლერანტობის წლები ერთხელ უკვე ვნახეთ მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკაში ყოფნის დროს.

ნაციონალების პოლიტიკაში გამჯდარი ნულოვანი ტოლერანტობა ამოტივტივდა ახლა ნიკა გვარამიას მხრიდან. როგორც სააკაშვილი იძახდა მაშინ, ამის მოდელი გაათამაშა ახლა გვარამიამ. კომიკურია იმდენად, რამდენადაც იციან რატომ მოხდა და კარგად იციან, რომ ქუჩაში ვერ გამოდიან იმის შიშით, რომ ვიღაცა მათ სამაგიეროს გადაუხდის. სამწუხაროა, რომ ამ ადამიანებმა თავიანთი თავისა და თავმოყვარეობის დაცვისთვის, გარდა ნულოვანი ტოლერანტობისა, სხვა ვერაფერი მოიფიქრეს“, — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას რამაზ საყვარელიძემ.

თამთა ქარჩავა

რატომ დათარეშობენ მკვლელები?!

გურამ შარაძის შვილი **რუსუდან შარაძე** სოციალურ ქსელში „რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას ცემის ფაქტს ძველი და ახალი გულისტკივილით ეხმიანება:

„ეს ძალად მაცხონე, ვითომ კეთილშობილი ადამიანები, გულისამრევია!

ერთ ლოყაში გალაწუნებული და მეორე ლოყამიშვერილი ამდენი ჭეშმარიტი ქრისტიანი თუ ჰყავდა საქართველოს, მაშინ ყოფილიყო მიშა და ვეკალით, ვეუპატიურებინეთ, ჩაველპეთ ციხეში, რა საჭირო იყო ამხელა ამბავი?

„ვგმობთ ძალადობას!“ — და აფახულებენ თვალებს — ბევრი მართლა იდიოტი და ბევრი ვითომ იდიოტი.

ჯერ ერთი, რატომ არის ერთი მოქალაქის ჩხუბი და სახელმწიფოსგან საკუთარი ხალხის ხოცვა, გაუპატიურება, ციხეში ამოლპობა, ქონების წართმევა და ა.შ. ერთი და იგივე, ეს ერთ დონეზე რატომ განიხილება? ან კიდევ, ნაწამებ ადამიანებს რომ სთხოვთ მიტევებას, აბა, ერთი კაცი დამისახელეთ, ვინც ამას ეტყოდა, აპატიე, რა მოხდა მერე, ბოლო-ბოლო, კაცები ხართ, არ გიჩხუბია?!

ძალადობას რომ ვგმობთ, ამოწყვეტილი ოჯახები, ამიტომაცაა, რომ დათარეშობენ მკვლელები და კიდევ აქეთ ვალს გვადებენ, რომ ცოცხლები ვართ. ძალადობას რომ ვგმობთ, ამიტომაცაა, რომ ველოდებით კანონის აღსრულებას, რომელზეც სახელმწიფო, ხელისუფლებაა პასუხისმგებელი, თორემ ბოლო-ბოლო, მუშტი კი არა, ერთი ტყვია მაინც მოიძებნებოდა ასი ათასობით გაუბედურებულ ქართველში.

ხომ მითქვამს, რომ თითქმის არ არსებობს რეისი, როცა რომელიმე არამზადა არ მხვდება. ძლივს გამომდის, რომ ზედაც არ შევხედო და ისიც იმიტომ, რომ საკუთარ თავს ვცემ პატივს. თუმცა, ერთხელაც, მიმტყუნა თავშეკავებამ და დათო ბაქრაძეს რა ჟესტიც ვაჩვენე, იცით. იგივე იყო რატი გაჩეჩილაძის საქციელი. ქალი კაცს ხომ არ გავლახავდი? მაგრამ ზუსტად ვიცი, რას ჩაიდენდნენ ლაშა და გიორგი შარაძეები. რასაკვირველია, ჩემს ძმებს ვერაფრით გავამტყუნებდი, მაგრამ კმაყოფილი ვერ ვიქნებოდი და არა იმიტომ, რომ სხვაზე კეთილშობილი ვარ, არამედ, იმიტომ, რომ კანონით დასჯილი მკვლელი არაა საწყალი და ფიზიკურად, ვინმეს მიერ ჩაქოლილი — გინდა-არ გინდა, უკვე მსვერპლია. მსხვერპლად ყოფნა კი ძალიან დიდი პატივია ამ პირუტყვებისთვის.

ჩემთვის, მთავარია, რომ ჯერ გამოძიებამ, მერე სასამართლომ დაამტკიცოს, რომ გურამ შარაძე მოკლეს სააკაშვილის შეკვეთით, რომ დაგეგმა დათა ახალაიას ბანდამ, გაისროლა ამა და ამან... მათი ციხე არ მეწყინება, მაგრამ სად იქნებიან, ნაკლები მნიშვნელობა აქვს. გურამ შარაძის მკვლელის სახელზე მეტი დასჯა, ჩემთვის, ბუნებაში არ არსებობს!

მოთმინებით ველოდები, გამოძიება მიმდინარეობს. შესაძლოა, ხვალ გაიხსნას, შესაძლოა, წლები დასჭირდეს. დარწმუნებული ვარ, შედეგი დადგება, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში, არ ვიცი, ვის გავულაწუნებ და აბა, თქვენ იცით, ჩამსვით ციხეში და პასუხი კანონის მთელი სიმკაცრით მაგებინეთ!“ , — წერს **რუსუდან შარაძე.**

ქართველი დასტაქარი ნევის ნაპირებზე

დიმიტრი კუპატაძე იუბილარია!

მსოფლიოში გამორჩეულ დასტაქარს, პრაქტიკოს ექიმსა და მეცნიერს დიმიტრი კუპატაძეს 70 წელი შეუსრულდა.

იყო ექიმი, ნიშნავს იყო განსაკუთრებული პიროვნება. დიმიტრი კუპატაძე უნიკალურია როგორც ადამიანი და პროფესიონალი.

ჩვენს პაციენტებში ავადობის 90 პროცენტი, ცხოვრების გზაზე გადატანილი ხიფათებისა და რისკების ანარეკლია. დიმიტრი კუპატაძე არის სპეციალისტი, ვინც თავისი კვლევისა და პრაქტიკული მკურნალობის საგნად პირველმა აირჩია ავადობის თანდაყოლილი ფორმები. სისხლის მანკისა და ბავშვთა ავადობის მემკვიდრეობითი საწყისების გამოვლენისა და მკურნალობის ცენტრი, რომელიც შექმნა ბატონმა დიმიტრიმ, ერთადერთია ყოფილ საბჭოთა სივრცეში, წარმატებული და აღიარებულია მთელ მსოფლიოში.

დიმიტრი კუპატაძე გახლავთ უაღრესად ერუდირებული, ენციკლოპედიურად განათლებული ადამიანი. ბუნებით მაძიებელია, მუშაობს ნოვაციაზე, რაც შესანიშნავი შედეგებით აისახება საექიმო პრაქტიკაში.

მედიცინაში, როგორც საერთოდ მეცნიერებაში, მრავლად არიან ღრმად მცოდნე და წარმატებული პრაქტიკოსი სპეციალისტები, მაგრამ თითებზე ჩამოსათვლელია მეცნიერები, რომლებმაც შექმნეს თავისი სკოლა და აღზარდეს ახალგაზრდები. ეს ძალიან რთული საქმეა, სჭირდება წლები, გამოცდილება, მოთმინება და შეუპოვრობა. ბატონმა დიმიტრიმ შეძლო, შეექმნა თავისი სკოლა, აღზარდა წარმატებული ახალგაზრდა სპეციალისტები, ჩამოაყალიბა პრაქტიკოსთა და მეცნიერთა ჯგუფი, რომელიც ნაყოფიერად მუშაობს არჩეული მიმართულებით.

ბატონი დიმიტრი არის ადამიანი, რომელიც თავისი საქმით ცხოვრობს. მასთან, უაღრესად კომუნიკაბელურ პიროვნებასთან გაუთავებლად შეიძლება ლაპარაკი აქტუალურ სამედიცინო საკითხებზე. ამიტომაც არის უაღრესად საინტერესო მასთან ურთიერთობა ჩვენი კოლეგებისთვის, იგი იყო და რჩება ჩვენს კომპეტენტურ მრჩევლად და დამხმარედ ყოველთვის, როცა პრობლემები გვაქვს პროფესიულ საქმიანობაში.

ბედნიერებაა, რომ გვყავს ასეთი პროფესიონალი ადამიანი, სპეციალისტი, სიკეთით სავსე გულით, ალერსითა და სიყვარულით ანთებული მზერით.

კონსტანტინე ყიფშიანი,
ნ. ბოხუას სახელობის სისხლძარღვთა და გულის დაავადებათა ცენტრის დირექტორი, პროფესორი.

მამუკა ბოკუჩავა,
ნ. ბოხუას სახელობის სისხლძარღვთა და გულის დაავადებათა ცენტრის დირექტორის მოადგილე, პროფესორი.

რედაქციისგან:

დიმიტრი კუპატაძე დაიბადა ქუთაისში 1946 წლის 27 თებერვალს, ექიმთა ოჯახში.1965 წელს შევიდა ლენინგრადის პედიატრიულ სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1971 წ. იქვე დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები ბავშვთა სისხლძარღვთა ქირურგიის საკითხებზე.

1960 წ. ჩამოაყალიბა ანგიომიკროქირურგიის პრობლემური ლაბორატორია. 1987 წელს მისი ინიციატივით გაიხსნა ბავშვთა ანგიომიკროქირურგიის განყოფილება, სადაც მუშავდება იმ ბავშვთა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხები, რომლებსაც რთული რეკონსტრუქციული ჩარევა ესაჭიროებათ. განყოფილებაში ყოველწლიურად ატარებენ 1000 ქირურგიულ ოპერაციას, კონსულტაციურ დახმარებას უწევენ 700-ზე მეტ ბავშვს.

დიმიტრი კუპატაძე ავტორია 230 მეცნიერული შრომისა, რომელთაგან 7 გამოგონებაა.

1999 წელს დაჯილდოვდა კენტუკის შტატის ქალაქ ლუივილის საპატიო მოქალაქის სიგელით ბავშვთა სისხლძარღვების ქირურგიაზე აშშ-ში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებისთვის, რომელიც ახალი ათასწლეულის მედიცინას მიეძღვნა.

1999 წელს ამ მიმართულებას რუსეთის ფედერაციის ქირურგიული პროგრამების კონკურსის პირველი პრემია მიენიჭა.

2000 წელს რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ჩრდილო-დასავლეთის განყოფილებამ წევრ-კორესპონდენტის წოდებაზე წარადგინა.

1996-2001 წლებში იყო სანკტ-პეტერბურგის მთავარი ბავშვთა ქირურგი.

2004 წლიდან არის სანკტ-პეტერბურგის ბავშვთა მთავარი ანგიო-ქირურგი, სანკტ-პეტერბურგის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის პრობლემური საკითხების კომისიის წევრი, ბავშვთა ქირურგიისა და ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგიის საქალაქო კომისიის წევრი, სანკტ-პეტერბურგის ამბრუაზ პარეს სახელობის ასოციაციის პრეზიდენტი.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ გულითადად ულოცავს გამოჩენილ ქართველ ექიმს დიმიტრი კუპატაძეს დაბადების 70 წლისთავის იუბილეს და უსურვებს კიდევ დიდხანს სამსახურს ადამიანთა საკეთილდღეოდ.

◎ მოულოდნელი რაკურსით

„ჩვენ ვეძებთ ტალანტებს!“

გუშინ „პალიტრა-ტვ-მ“ მეტისმეტად დამაფიქრებელი ტელესიუჟეტი გაავრცელა:

„14 წლის საქართველოს ჩემპიონი, რომელიც ვაგზალზე ლიმონის გაყიდვით ოჯახს არჩენს....

აიდანის ბადიროვი თავისუფალ ჭიდაობაში არაერთხელ გამხდარა ქვეყნის ჩემპიონი. ჭიდაობაზე ბავშვობიდან დადის, ეს სპორტი მისი გატაცებაა. ოცნებობს, რომ დიდ წარმატებას მიაღწიოს, თუმცა მის ოჯახს უკიდურესად უჭირს და ბევრჯერ ჭიდაობაზე უარის თქმაც მოუწევდა, მწვრთნელები რომ არ ეხმარებოდნენ.“

ამ პუბლიკაციის გაცნობის შემდეგ, პირველი, რაც გამახსენდა, იყო რუბრიკა, რომელიც აშუქებდა 40 წლის წინათ დაწყებული და შემდგომ წლების მანძილზე გაგრძელებულ მოძრაობას „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს!..“

უფროს და საშუალო თაობელ „ფრენდებს“, ალბათ, გახსოვთ: ყველა სფეროში ვეძებდით გამორჩეულ ბავშვებს, მოზარდებს...

კომკავშირი და საქართველოს ტელევიზია პატრონობდნენ ამ საქმეს. ბევრი ტალანტი „აღმოვაჩინეთ“ მაშინ: გუცაევი, წიკლაური (ნუგზარი არა, თემური), რევაზიშვილი...

წავიდა ის დრო.

მოვიდა ახალი დრო, უკეთესი, უფრო ძვირფასი საჩუქრებით... „აკადემია“... „ნიჭიერი“... „X-ფაქტორი“... გულწრფელად მიხარია, რომ „რუსთავი-2“ არ ყოფს მონაწილეებს „პატრონიანებად“ და „რიგითებად“! ის მფარველობს ყველას: ცნობილი თუ ჩვეულებრივი ოჯახისშვილებს, ყველას, ვინც აშკარად ნიჭიერია. თანაც მთელი საქართველოს თვალწინ...

თავად განსაჯეთ, როცა ბოლო სამი წლის გამარჯვებულებს გაიხსენებთ: ხელვაჩაურელი (თუ არ ვცდები) გიორგი ნაკაშიძე, ლაგოდეხელი ტრაქტორისტი გოგონა – უნიჭიერესი „მსუქანა“ ანგელოზი, ბათუმელი ავთანდილ აბესლამიძე... (ისე, დანამდვილებით ვიცი, რომ აჭარისა და ბათუმის მერიის ჩინოსნებიდან, ბევრმა არც კი იცის ამ უნიჭიერესი ახალგაზრდების არსებობა. ესეც მრავლისმეტყველია. აბა, ასლანის დროს გაემარჯვათ იქაურებს და ნახავდით შედეგს. ვერაფერს გეტყვით ლაგოდეხელებზე...)

ერთი სიტყვით, ასევე, სამადლობელია „იმედი“ თავისი „ნუცას სკოლით“ და... თუნდაც, ელიტარული ცეკვის კონკურსით...

ალბათ, სხვებსაც აქვთ „რაღაც-რაღაცები“ და ეს მხოლოდ დადებით ემოციებს იწვევს.

მაგრამ, ხაზგასმით უნდა აღვნიშნო: ეს სატელევიზიო პროექტებია. მხოლოდ!

ცხოვრება, რეალობა კი არ ეტევა და ვერც ჩაეტევა მხოლოდ ამ სატელევიზიო პროექტებში. სხვა გაქანებაა საჭირო, სხვა მასშტაბი, მრავალფეროვნება.

გვემახსოვრება, მთელ საქართველოში ტარდებოდა, თუნდაც, ეზოების ფეხბურთელთა გუნდების ჩემპიონატები, უბნების... სპორტის სასახლესაც კი უთმობდნენ ამ მოასპარეზეებს...

ყველა რაიონულ ცენტრში კვირაობით ეწყობოდა მოჭიდავეთა შეჯიბრები. ასეთ ტურნირზე აღმოაჩინეს ბიჭუნა - ლევან თედიაშვილი, რომელიც შემდგომ მსოფლიო ლეგენდა გახდა, რომელთანაც ნაცნობ-მეგობრობით ირანის შაჰიც კი „ამაყობდა“...

დღეს, რაღაც, თითქოს, ჩაკვდა ეს სფერო, ეს მიმართულება. ყოველ შემთხვევაში, მედიის ყურადღების ქვეშ რატომღაც არ არის მსგავსი ღონისძიებები. არადა, როგორ არის საჭირო. აი, თუნდაც იმის საპირისპიროდ, რასაც „გირჩის“ მარიახუანული ეპოპეა ქვია და რაც სამარცხვინოდ იზიდავს მავანის ყურადღებას.

ჩვენთან, მგონი (!!!), არსებობს ახალგაზრდობის და სპორტის სამინისტრო, რომელსაც საზოგადოებაში ფრიად ავტორიტეტული!) და უმწიკვლო (!) რეპუტაციის მქონე ცნობილი ბიზნესმენი, უახლოესი წარსულის უცნობილესი ექსჩინოვნიკების მეგობარი და ბიზნესპარტნიორი თავკაცობს (ყოველ შემთხვევაში, ეს ასე უნდა იყოს). ახალგაზრდობის პრობლემებით ამ სამინისტროს დიდი დაინტერესება მედიისთვის მაინცდამაინც ცნობილი არ არის, მაგრამ, სხვა მხრივ (მაგალითად, ფედერაციების არჩევნები, ფეხბურთის ბილეთების განაწილება...) სამინისტროს აქტიურობაზე, რა თქმა უნდა, ინფორმაცია ჟონავს...

ასევე, ჩვენს ოლიმპიურ კომიტეტსაც სახელოვანი სპორტსმენი და არანაკლებ სახელოვანი ბიზნესმენი მეთაურობს...

ასეა პარლამენტშიც. ჩვენი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მსგავსად, არსად, მსოფლიოს არც ერთ პარლამენტში არ არის დეპუტატად წარმოდგენილი ამდენი სპორტსმენი (მოჭიდავე, ფეხბურთელი). მათ ისეთი „რეჩები“ დაარტყეს ამ ორიოდე დღის წინათ ჩატარებულ დაჯილდოების მშვენიერ ცერემონიალზე, რომ... გულს უხაროდა და იმედით ავსებდა!

აი, წინა საპარლამენტო დარგობრივი კომიტეტის ძველ შემადგენლობასაც ყველაფერი ადარდება, ყველაფერზე ფიქრობდა, მათ შორის, მაგალითად, ვაკეში ჭიდაობის სასახლის გასხვისებაზეც ფიქრობდა „ავარიულობის“ მომიზეზებით და საგანგებო წერილით თავაზობდა კიდეც ქალაქის მერიას ამ ძვირადღირებულ „სამშენებლო“ ადგილს. და როგორც „ბოროტი ენები“ ჩურჩულებდნენ, ეს „საინტერსო“ პერსპექტივა მაშინ უბრალოდ ჩაიშალა, რამეთუ ვერ „მოერივნენ“ აბუნტებულ სახელიან მოჭიდავეებს...

და როცა ეს სპორტის და სპორტსმენების ბედ-იღბალზე ერთობ და მუდმივად დაფიქრებული „მოდეპუტატო“ სპორტსმენ-ბიზნესმენები მსგავს „ბრძნულ“ კომბინაციებს „ატრიალებენ“, მაშინ აი, ეს ბიჭუნა და მისი მსგავსი არაერთი ნიჭიერი ყმაწვილი, იმის მაგივრად სპორტულ დარბაზში ხვეწდეს ტალანტს, ოჯახის და საკუთარი თავის შესანახად ბაზრობებზე გათოშილნი კაპიკებს აგროვებენ...

ადგება „პალიტრა-ტვ“-ს ამ პუბლიკაციის შემდეგ ვინმე „უცხოელი მეზობელი“, მოკიდებს ამ ბიჭს ხელს, წაიყვანს, გაზრდის და... რომელიმე საერთაშორისო ასპარეზობაზე გამარჯვებულებულების კვარცხლბეკზე ასული ამ და მისი მსგავსი რაინდების პატივსაცემად აჟღერდება ჰიმნი... არა საქართველოსი, არამედ, მაგალითად, აზერბაიჯანის... საბერძნეთის... რუსეთის... უკრაინის...

და სხვისი(!) ჰიმნის მელოდიის ფონზე ჩვენ გულზე ხელის ბრაგუნით „ვიტრაბახებთ“: ეს ჩემპიონი ხომ ჩვენ მიწაზე დაიბადა, აქ აიდგა ფეხი... აი, ასეთი მაგრები ვართ ქართველები!

რა, არ მომხდარა ასე, არ ხდება ახლა თუ არ მოხდება ხვალ?..



რა კარგად თქვა პოეტმა, „საქართველო, შენ ვინ მოგცა, შვილი დასაკარგავი“!

სხვათა შორის, მას მოჭიდავეებიც ყავდა მხედველობაში!

P. S.: „პალიტრა-ტვ“-ს და „IPN“- ს მადლობა!

ნუგზარ ფოფხაძე

მხატვარი – მწერლის მესაიდუმლე

ციკლიდან „დროის იეროგლიფები“

რეზო ჭეიშვილის ამ მიუნჰაუზენური ყაიდის მოთხრობას „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი“ ამ მხრივაც უდავოდ გაუმართლებდა, ორი ჩინებული მხატვარი რომ გამოუჩნდებოდა ილუსტრატორად: ედუარდ ამბოკაძე, წლების წინათ, და კარლო ფაჩულია, სულ ახლახან.

ის პირველი ილუსტრირებული გამოცემა შავ-თეთრი იქნებოდა, მეორისათვის კი მწერალი ფერად ნახატებს მოინდომებდა და მხატვარსაც თვითონვე შეარჩევდა, დაიმედებული: თუ ვინმე ჩაწვდებოდა ამ მოთხრობის მხიარულ კომიზმსა და სევდას, ერთი უპირველესთაგანი სწორედ კარლო ფაჩულია, საუკეთესო მკითხველის სახელიც რომ მოუპოვებია.

ეს სევდაა, ჩუმი და გაუმხელელი, ეს გაუნელებელი სულიერი ტკივილი, შალიკო ხვინგიაძეს რომ განასხვავებს თავისი დიდი წინამორბედისაგან, იმ ბარონ მიუნჰაუზენისაგან, რომლის გავლენაც შორსა და შორს გადაწვდებოდა და სად აღარ გამოჩნდებოდნენ პატარ-პატარა მიუნჰაუზენები, საქართველოშიც რომ მოისინჯებოდა ეს ხასიათი, მაგრამ... მარცხიანად, რადგანაც ასლის გადაღებას არსად შეუქმნია ნამდვილი ლიტერატურული ძეგლი.

ხოლო რეზო ჭეიშვილი თარგად რომ დაიდებდა მსოფლიო კლასიკური მწერლობის ამ ნიმუშს, იმთავითვე გრძნობდა, განსხვავებულსა და ორიგინალურს რომ მიაკვლევდა ამ ხასიათში, გრძნობდა და იმ კვალს გაჰყვებოდა, გაჰყვებოდა და კიდეც გამოძერწავდა საკუთარ ქურაში გამოტარებულ ხასიათს იმ მადლის წყალობით, რაც ჭეიშვილური იუმორის გადმოფრქვევაა მთელი თავისი მრავალფეროვნებით, და ამაოდ მოინდომებ მის განმეორებას – ხელთ მხოლოდ უსიცოცხლო სქემები შეგრჩება, პამფლეტები ნოველების ნაცვლად.

ამ თავისებურებას შალიკო ხვინგიაძის ხასიათისა პირველად აკაკი ბაქრაძე აღნიშნავდა სტატიაში „აუხდენელი ოცნების ადამიანები“, მოგვიანებით ელგუჯა თავბერიძე რომ გაშლიდა ამ მოტივსაც და ქართველი პერსონაჟის პიროვნული ბუნების შრეებსაც ძირისძირობამდე ჩაჰყვებოდა წერილში „უძლეველობის მითი და სევდა“.

და გითვალსაჩინოებს კრიტიკოსი, რომ:

„შალიკო ხვინგიაძე ორმაგ თამაშს თამაშობს. ერთი შეხედვით, „აუდიტორიის“ გარეშე არც დიდება უნდა, არც პატივი, ხალისიანი ცხოვრება, აზრი და შინაარსი ამ ცხოვრებისა იმაში მდგომარეობს, რომ სხვამ მოუსმინოს, ირწმუნოს და დაიჯეროს, და მეორე, თვითონაც ხვდება, რომ ეს ტყუილია, მაგრამ მაინც ეს ურჩევნია, რადგან აქაა მისი უძლეველობის სათავე, აქ ტკბება და ნებივრობს დიდების მოწადინე და მოსურნე მისი ერთადერთი მე“.

რაღაც წამს შეფიქრიანდება: ვაითუ მსმენელმა არ დამიჯეროსო?! – მაგრამ

მაშინვე ყველაზე სანდო მოწმესთან გაგაგზავნის, იმ ჯიჯი ალფაიძესთან... ათწლეულთა წინათ რომ დაღუპულა ომის ქარცეცხლში.

ხასიათის ეს ორმაგობა, ეს სიღრმეა, ჩვეული ხელოვნებით რომ განასახიერებდა ეროსი მანჯგალაძე სატელევიზიო სპექტაკლში და ამ დადგმას მოთხრობის ტოლფარდ სიმაღლემდეც აზიდავდა.

ხოლო ელგუჯა თავბერიძის გვარმოუწერელი დაკვირვებანი ამშვენებს ამ გამოცემასაც ვრცელ ანოტაციად, მისივე პოლიგრაფიული ხელოვნებით შესანიშნავ დასტურად რომ წარმოგვიდგება და კიდევ ერთხელ ჩაგვაფიქრებს: ნეტა ეს წიგნი მართლა ქუთაისშია დაბეჭდილი, „ხომლი ენ“-ის სტამბაში (ქუთაისის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის თანადგომით) თუ... დასავლეთის რომელიმე ქალაქშიო?!.

რეზო ჭეიშვილი ვერ მოესწრებოდა ამ გამოცემას, მაგრამ არჩევანი ისე გაუმართლებდა, უკეთესი აღარც შეიძლება.

გამოცემას არსად აწერია: სასაჩუქროო, – თუმც რა მიწერა უნდოდა, საჩუქარი ეს არის, თუ არის ყმაწვილთათვისაც და ხანდაზმულთათვისაც, ყველა თაობა ერთნაირი აღტაცებით რომ გაეცნობა – მართლაც ჰომერული ხარხარით, ანოტაციის იმ პასაჟისა არ იყოს, რეზო ჭეიშვილის მწერლური



თავისებურების იმ ერთ უმთავრეს ნიშანს რომ გვამცნობს: მისი გმირების უმეტესობა დარდიან-სიცილიანი განწყობილების ადამიანები არიან და ისე აქვთ ეს ორი რამ შესისხლხორცებული, ხანდახან ძნელი გასამიჯნია, სად იწყება სევდა და სად – სიცილი, უფრო ზუსტად, სევდა ღიმილის შინაარსს იტევს და პირიქითო.

ოოო, ამით კი, სხვადასხვა თაობა ერთნაირი ინტერესით რომ ეცნობა, ბევრი თხზულება ვერ დაიტრაბახებს.

მოთხრობა მოთხრობად და ილუსტრაციები კიდევ ილუსტრაციებად!..

თან მხატვრის ეს ჟესტიც რომ დაამშვენებდა ამ წიგნის ბიოგრაფიას.

– რამდენი გადაგიხადოთ? – ჰკითხავდნენ.

გაიღიმებდა კარლო ფაჩულია თავისი არაჩვეულებრივი ღიმილით:

– არც არაფერი...

– როგორ თუ... როგორ თუ არც არაფერი? – ხომ არ მოგვეყურაო.

– რეზოს წიგნის ნახატებში მე ფულს არ ავიღებ! – მოკლედ მოჭრიდა და მოათავებდა.

საუკეთესო მკითხველის სახელიც რომ მოუპოვებიაო...

ამიტომაც დაამშვენებდა მის გამოფენას, ქართული ლიტერატურის მუზეუმში რომ გაიმართებოდა, ილუსტრაციების წყებაც, ერთ მომხიბლავ ნაკადად რომ შეერეოდა ხელოვანის მრავალწახნაგა, მრავალფეროვან შემოქმედებით ნაღვაწს, მუზეუმის კედლები მხოლოდ მცირე ნაწილს რომ დაიტევდა იმ აურაცხელი ნიმუშებისა, თუმც ესეც იკმარებდა, რათა განგვეცადა ჭეშმარიტი დღესასწაული და დიდი მხატვრისაგან მოგვრილი უღრმესი შთაბეჭდილებანი.



ყველა მწერლისთვისაც რომ მოენახა ის განუმეორებელი თავისებურება, წარწერის ამოკითხვა რომ აღარც გჭირდებოდა, ისედაც ამოიცნობდი, რომელი კალმოსნის ქმნილება მოჰქონდა შენამდე, რომელ მხატვრულ სამყაროს გაზიარებდა.

მიგანიშნებდა იმ მთავარს, არსებითს, რისთვისაც ის თხზულება დაწერილიყო, რითიც სულდგმულობდნენ ის პერსონაჟები, და თვითონ როგორ ხედავდა და გაიაზრებდა იმ ყოველივეს.

ამიტომ:

ილუსტრატორიცაა და ინტერპრეტატორიც!..

ილუსტრატორიცაა და კრიტიკოსიც!..

ილუსტრატორიცაა და მწერლის მესაიდუმლეც!..

ინტერპრეტატორი, კრიტიკოსი და მესაიდუმლეა „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავლის“ გაფორმების დროსაც, ასერიგად რომ გიზიდავს და კვლავ და კვლავ მიგაბრუნებს თავისკენ, მოთხრობის ჩამთავრების შემდეგ კი საგანგებოდ ჩაუკვირდები ნახატებს, სიხალისითაც რომ აღბეჭდილან, მომხიბლავი კომიზმითაც და ჩუმი, გაუმხელელი სევდითაც. და აქაც ველარ გაგიმიჯნავს, სად იწყება სევდა და სად – სიცილი.

და ჯერ მარტო ამ ილუსტრაციებით მიხვდები, თუ როგორ, რა გზით დაეღწია თავი რეზო ჭეიშვილს ბარონ მიუნჰაუზენის მომნუსხველი ზეგავლენისათვის და ქართულ პერსონაჟთა მრავალფეროვანი გალერეისათვის ასეთი კოლორიტული, დაუვიწყარი ხასიათი შეემატებინა.

ქრესტომათიულია ამ მხრივ „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავლის“ მნიშვნელობაც და საკუთარი ქურის არსებობის აუცილებლობაც, იმ მადლისა, რომელიც თანდაყოლილი თუ არ არის, ვერაფრის-დიდებით ვერ შეიძენ.

და ქრესტომათიულია კარლო ფაჩულიას თუნდ ამ ილუსტრაციების მნიშვნელობაც, ძალდაუტანებლად რომ გაგრძნობინებს, თუ რა-

ოდენ აუცილებელია, მხატვარი არანაკლები რანგის მკითხველიც იყოს, თუ ესწრაფვის ნაწარმოების ტოლფარდი ილუსტრაციების შექმნას.

...თუ ჩემი არა გჯერათ და... ჯიჯის ჰკითხეთ, ალფაიძეს!..

როსტომ ჩხეიძე

ნუკა ყარალაშვილი - „მის სამყაროს“ ფინალში

„MISS UNIVERSE 2016“-ს ფილიპინები მასპინძლობს. „მის სამყაროს“ ოფიციალური და ექსკლუზიური წარმომადგენელი საქართველოში, სამოდელო სააგენტო „იმიჯ ცენტრის“ ინფორმაციით, სილამაზის საერთაშორისო კონკურსის „MISS UNIVERSE 2016“-ის გრანდიოზული ფინალური შოუ 29 იანვარს, ფილიპინების დედაქალაქ მანილაში, Mall of Asia Arena-ზე გაიმართება.

ღონისძიება პირდაპირი ეთერით გადაიცემა ამერიკის შეერთებულ შტატებში ტელეკომპანია FOX-ის მიერ.

65-ე „მის სამყარო“-ს ფინალზე საქართველოს წარადგენს „მის საქართველო“-ს ტიტულის მფლობელი, „იმიჯ ცენტრის“ წარმატებული მოდელი ნუკა ყარალაშვილი.

წელს „მის სამყაროს“ ფინალზე 85 ქვეყნის წარმომადგენელი იწონებს თავს და მათი შეფასება შესაძლებელია „მის სამყაროს“ ოფიციალურ ვებ გვერდზე და სოციალური ქსელების მეშვეობით.

საქართველოს წარმომადგენელი ნუკა ყარალაშვილი წლის განმავლობაში ინტენსიურად ემზადებოდა მის სამყაროზე გასამგზავრებლად.

მის ჩაცმულობაზე იზრუნა მოდის სახლმა „მარიონელა“, რომელმაც სპეციალურად ამ კონკურსისთვის დაამზადა ნაციონალური და საღამოს კაბები.

საერთაშორისო კონკურსის მიმდინარეობისას ნუკას, დანარჩენ კონკურსანტებთან ერთად, ელით წინაშესარჩევ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება, რის მიხედვითაც ჟიური გამოავლენს გამარჯვებულებს სხვადასხვა ნომინაციებში.

ფინალურ შოუმდე კონკურსანტებს ექნებათ ძალიან დატვირთული გრაფიკი. გაიმართება სხვადასხვა ღონისძიება, მათ შორის ნაციონალური საჩუქრის აუქციონი და ნაციონალური კოსტიუმების შოუ.

შეგახსენებთ, რომ სილამაზის კონკურსი „მის საქართველო“ კომპანია „იმიჯ-ცენტრის“ ორგანიზებით წარმატებით ტარდება ჩვენს ქვეყანაში და მასში ყოველწლიურად უამრავი გოგონა იღებს მონაწილეობას საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

დონალდ ტრამპი:

მხოლოდ ბრიყვებს და სულელებს მიაჩნიათ, რომ რუსეთთან მეგობრობა ცუდია!

საქართველოს მთავრობაში გვარების – „პუტინი“, „პუშკინი“ წარმოთქმისაც კი ეშინიათ!

საქართველოში დორბლიანი, არამზადა **სააკაშვილის** ნაცვლად, რომელიც პუტინს პროვინციელი ქუჩის ქალის მსგავსად უცენზურო სიტყვებით ამკობდა, მოვიდნენ მმართველები, რომლებსაც გვარების – **„პუტინი“, „პუშკინი“** წარმოთქმისაც კი ეშინიათ! **თანაც მათთვის რა განსხვავებაა – პუტინი თუ პუშკინი?! ესენი ხომ „აკრძალული რუსები“ არიან!** საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას, ისევე, როგორც მის წინამორბედს, აშშ-ის ყოფილი ადმინისტრაციის, სახელმწიფო დეპარტამენტის, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და კონგრესის აგრესიული ძალები აკონტროლებენ, რომლებსაც საქართველოს მთავარი კურატორი, სენატორი მაკკეინი აერთიანებს და ხელმძღვანელობს.

ქართველები და სომხები, ქართველები და აზერბაიჯანელები, ქართველები და ებრაელები, ქართველები და უკრაინელები, ქურთები, ასირიელები, ინგუშები და ჩეჩნები: **„მოძმე ხალხთა ტრადიციულ მეგობრობას“** ეძღვნება კონცერტები და კონფერენციები, უმაღლესი დონის ვიზიტები, ეკლესიებში, მეჩეთებში, სინაგოგებში სტუმრობა და ეროვნული დღესასწაულების სახელმწიფოს პირველ პირთა მილოცვები, რაც ძალიან კარგია. მაგრამ გაინა **ქართველებს და რუსებს** არაფერი აკავშირებთ?! **თუ კი, მაშინ რატომ გააგრძელა საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ სააკაშვილის ტრადიციები და 2012 წლიდან დღემდე არ ჩაუტარებია არცერთი ღონისძიება, რომელიც მიეძღვნებოდა რუსული და ქართული კულტურების განუწყვეტელ კავშირს, რუსეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვან მეგობრობას და საბრძოლო ძმობას, კავკასიის ომები იქნებოდა თუ დიდი სამამული?!** ქართველების კიდევ რამდენი თაობა გაიზრდება უმეცრებასა და ტყუილში, როდესაც ორი მართლმადიდებელი ხალხის – სრულიად რუსეთისა და სრულიად საქართველოს – პატრიარქების კირილისა და ილია მეორის საშობაო ქადაგებებიც კი ერთსა და იმავეს ეხებოდა – **პროვოკაციებს კულტურაში და უწესობის პროპაგანდას სოციალურ ქსელებში, ტელევიზიასა და სხვა მედიაში?!**

ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ ბოლო დიდი პრესკონფერენციის დროს პრეზიდენტი **პუტინი** საქართველოზე მეტად ბურახის შესახებ კითხვით დაინტერესდა, თუმცა პრიორიტეტი ქართველ ტელეჟურნალისტს მაინც მიანიჭა, რომელმაც სულელური შეკითხვა დაუსვა... **2012 წლიდან მოყოლებული, საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, რუსეთის პრეზიდენტმა მრავალგზის და ღიად გამოთქვა საქართველოს ახალ ხელმძღვანელობასთან დიალოგისთვის მზადყოფნა და ამიერიდან ამის განმეორებას მეტს არ აპირებს – პუტინი დაიღალა და მას ეს უკვე აღარ აინტერესებს...**

სამაგიეროდ, 31 დეკემბერს, ახალი წლის დამდეგს, თბილისში პატივით დახვდნენ **მაკკეინს,** რომელმაც საახალწლო სადღეგრძელოში პუტინს ნაძირალა და არამზადა უწოდა. ერთი კვირის შემდეგ კი, 7 იანვარს, ქრისტეშობის ბრწყინვალე მართლმადიდებლურ დღესასწაულზე, დონალდ ტრამპმა ტვიტერზე დაწერა: ***„მხოლოდ ბრიყვებს და სულელებს მიაჩნიათ, რომ რუსეთთან მეგობრობა ცუდია!“***. ეს ნიშნავს, რომ **აშშ-ის ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ საქართველოს მთავრობიდან ძალიან ბევრი ბრიყვი და სულელი წავა.**

მაგრამ „ამერიკელი ქართველი“ მაკკეინი თბილისში სასწრაფოდ იმისთვის არ ჩამოფრენილა, რომ მისი რჩეული სააკაშვილის მსგავსად აქედან პუტინისთვის ეყეფა. **„ჩვენ ვხედავთ გარკვეულ სიგნალებს ცალკეული მმართველი სტრუქტურების მხრიდან საქართველოში“** – აღნიშნა პუტინმა ზემოხსენებულ პრესკონფერენციაზე 23 დეკემბერს. მაგრამ ეს ვაშინგტონშიც დაინახეს, სადაც ასევე შეამჩნიეს რამდენიმე ქართველი მინისტრი და სხვადასხვა სტრუქტურის ხელმძღვანელი, რომლებსაც ერთხელაც არ გაუკეთებიათ ისტერიულად უპასუხისმგებლო პოლიტიკური განცხადებები „საშიში რუსი ოკუპანტების“ შესახებ და პიარის გარეშე კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს. **ამიტომ, რათა არ დაეშვათ საქართველოს რუსეთთან დაახლოება ამ უკანასკნელის მისამართით ტრამპის მეგობრული განცხადებების შუქზე, გადაწყდა საქმეში გამობრძმედილი „ნაცმოძრაობის“ რებრენდინგი და „ქართული ოცნების“ გამაგრება „ნაციონალების“ გამოცდილი კადრებით.** მაკკეინი ჩამოფრინდა, რათა ოფიციალური თბილისისთვის თბილისის ყოფილი მერის **უგულავას,** შს ყოფილი „ლეგენდარული“ მინისტრის **მერაბიშვილის** და ყველა დანარჩენი „პოლიტპატიმრის“ ციხიდან სასწრაფოდ გათავისუფლება მოეთხოვა. და მას, როგორც ჩანს, უარი არ უთხრეს...

არნო ხიდირბეგიშვილი,
„საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი

„წვრილმანი“ ამბები

ობამამ რუსეთი და ჩინეთი მოწინააღმდეგეებად მოიხსენია

გამოსამშვიდობებელ სიტყვაში აშშ პორეზიდენტმა რუსეთი და ჩინეთი მოწინააღმდეგეებად მოიხსენია.

„ისეთი მოწინააღმდეგეები, როგორებიც რუსეთი და ჩინეთი არიან, ვერ მოიპოვებენ გავლენას, თუ ჩვენც არ გადავიქცევით კიდევ ერთ დიდ ქვეყნად, რომელიც პატარა მეზობლებს ჩაგრავს,“ – აღნიშნა ობამამ ჩიკაგოში სიტყვით გამოსვლისას.

ბრეივიკი საზოგადოებისთვის დღეს უფრო საშიშია

ნორვეგიელი ტერორისტი ანდერს ბრეივიკი დღეს გაცილებით უფრო რადიკალურია. ამის შესახებ ნორვეგიელმა პროკურორებმა განაცხადეს. პროკურორ ფედერიკ სეირსტედის თქმით, მთავრობა მზად უნდა იყოს ბრეივიკის მხრიდან არაადეკვატური და რადიკალური ქმედებებისთვის. სასამართლო პროცესზე მსჯავრდებული ტრადიციული ნაცისტური მისალმებით წარსდგა. მასშტაბური ტერორისტული აქტები ბრეივიკმა ოსლოსა და კუნძულ უტოიაზე 2011 წლის 22 ივლისს განახორციელა, რასაც 77 ადამიანი ემსხვერპლა. სასამართლომ მას 21-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. სხვა პატიმრებისგან ის იზოლირებულია. ბრეივიკის ადვოკატები ირწმუნებიან, რომ ტერორისტის პატიმრობის ზოგიერთი ასპექტი არაადამიანური და ღირსების დამამცირებელია, რასაც პროკურატურა კატეგორიულად არ იზიარებს. ბრეივიკის საქმეს სააპელაციო სასამართლო განიხილავს.

ვისი მოსყიდვა სურდათ გაეროს ყოფილი გენმდივნის ახლობლებს?

გაეროს ყოფილი გენერალური მდივნის, პან კი მუნის ძმასა და ძმისშვილს ამერიკელი მაღალჩინოსნის მოსყიდვის მცდელობაში ადანაშაულებენ. სააგენტო „ასოშიეიტედ პრესის“ ინფორმაციით, შენობების კომპლექსის ხელში ჩასაგდებად ისინი სახელმწიფო მაღალჩინოსანს ქრთამს სთავაზობდნენ. პან კი მუნის ძმიშვილი სასამართლოს წინაშე უკვე წარსდგა. ის 250 ათასიანი გირაოს გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს.

ვენდეტა აფხაზურად,

ანუ აფხაზეთი მკვლელობების სერიამ შეძრა

ახალი წლის პირველ დღეებში აფხაზეთში ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე მკვლელობა მოხდა. მათ შორის ერთმა ლინჩის წესით გასამართლების ფაქტების მთელი წყება გამოიწვია. შედეგად დაწვეს ერთი ადამიანი და სამი საცხოვრებელი სახლი სოფელ გუადაში.

2017 წლის 1 იანვარს სოხუმის მკვიდრი, 1990 წელს დაბადებული ბესლან კვიცინია გაუჩინარდა. მის ძებნაში დე ფაქტო შსს-ს ოჩამჩირეს რაისამმართველოს და საგანგებო სიტუაციათა დე ფაქტო სამინისტროს წარმომადგენლები იყვნენ ჩართულები. საღამოს დაახლოებით 10-ის ნახევარზე სოფელ გუადას მახლობლად მდებარე ტყის მასივში კვიცინიას გვამს მიაკვლიეს. მას თავის, მუცლისა და მკერდის არეში ცეცხლნასროლი ჭრილობები აღენიშნებოდა.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების დროს აღნიშნულ დანაშაულში ეჭვმიტანილი – სოფელ გუადას მკვიდრი, 1983 წელს დაბადებული როლანდ ჟიბა გამოვლინდა. ამჟამად მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ვარაუდობდნენ, რომ იგი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იყო გადმოსული.

3-დან 4 იანვრის ღამეს სოფელ გუადაში სამი სახლი დაიწვა: მკვლელობაში ეჭვმიტანილი როლანდ ჟიბასი და მისი ნათესავების. 6 იანვარს, საღამოს კი სოხუმში, იმ სასაფლაოს ტერიტორიაზე, სადაც ბესლან კვიცინიაა დაკრძალული, განსაკუთრებული სისასტიკით მოკლეს სოფელ გუადას მკვიდრი რომან ჟიბა. იგი ბესლან კვიცინიას საფლავთან მიიყვანეს, ბენზინი გადაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს, ხოლო როდესაც გაქცევა სცადა, ესროლეს. ამასთან, ეს ყველაფერი რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო სამმართველოს წარმომადგენლობის საშვთა ბიუროდან 10 მეტრში მოხდა და ვიდეოთვალთვალის კამერაზეა აღბეჭდილი.

დე ფაქტო გენპროკურორის მოადგილემ ეშსოუ კაკალიამ შექმნილი სიტუაცია ასე დააკომენტარა:

„მოხდა ერთი მკვლელობა, მოხდა მეორე, გვაქვს სახლების გადაწვის ფაქტები. კვიცინიას მკვლელობაზე საქმე აღიძრა, ჟიბას მკვლელობაზე და სახლების გადაწვის ფაქტებზე – ასევე. წარმოებს გამოძიება. დაკავებულია 4 პირი, გვარებს ჯერჯერობით არ ვასახელებ. ამ პირთა დაკავებისას მათ მიერ გამოყენებულ სატრანსპორტო საშუალებაში ცეცხლსასროლი იარაღია აღმოჩენილი. ტარდება ოპერატიული, პროფილაქტიკური ღონისძიებები. პროკურატურის ორგანოები მკვლელობის ორ და სახლების გადაწვის ფაქტებზე მუშაობენ“.

აღწერილი მოვლენების ფონზე 3 იანვარს კიდევ ერთი მკვლელობა მოხდა: დღის 2 -ის ნახევარზე გაგრაში „რენოს“ მარკის ავტომობილით მოძრავი ორი დაუდგენელი პირი სასტუმრო „აფხაზეთის“ წინამდებარე მოედანზე რუსლან ბენიას მიუახლოვდა და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე ესროლა. ბენია ადგილობრივ საავადმყოფოში მიყვანიდან მალევე გარდაიცვალა. ბოროტმოქმედთა ავტომობილი მოგვიანებით ტყის მასივში დამწვარი იპოვეს. მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, წარმოებს გამოძიება, თუმცა ეჭვმიტანილები ჯერჯერობით არ არსებობენ.

2016 წლის 9 თვის განმავლობაში აფხაზეთში 17 მკვლელობა დაფიქსირდა, ოთხ მათგანთან დაკავშირებით გამოძიება დასრულებულია და საქმეები სასამართლოს გადაეცა. ორი დანაშაული გამოუძიებელია, 11-ზე კი გამოძიება გრძელდება.

„ეხო კავკაზა“

„მისტიკური მომხმარებელი“

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკ) ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორებში მოქმედი კომპანიების მომსახურების ხარისხის შემოწმებას იწყებს. კომისიის ინიციატივით, „მისტიკური მომხმარებლის“ კვლევის ფარგლებში 11 იანვრიდან კომპანიების მომსახურების ცენტრებში შემოწმდება თუ რამდენად შეესაბამება კომისიის მიერ დადგენილ სტანდარტებს კომპანიებში მომხმარებლისათვის გაწეული მომსახურების ხარისხი.

„მისტიკური მომხმარებლის“ პროექტს განახორციელებს სატენდერო პირობებით შერჩეული კომპანია. პროექტის ფარგლებში მოხდება კომპანიების მიერ მომხმარებლებისათვის გაწეული ისეთი მომსახურებების შემოწმება, როგორიცაა ახალი მომხმარებლის ქსელზე მიერთება, მრიცხველის შემოწმების მოთხოვნა, ქსელზე შეჭრისა და აღრიცხვის კვანძის მოწყობის მოთხოვნა; აბონენტის რეგისტრაციის შეცვლა; სიმძლავრის გაზრდა; აბონენტის გაყოფა, საჩივარზე რეაგირება და სხვა. ასევე, შემოწმდება ქოლ-ცენტრის მომსახურება, ქვითარი (ბეჭდური და ელექტრონული) და მასთან დაკავშირებული პროცესები, კომპანიების ოფიციალური ვებ გვერდები და მომხმარებლის მოკლე ტექსტური შეტყობინებით ინფორმირების პროცესი.

„მისტიკური მომხმარებლის“ პროექტის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში მოქმედი 21 მსხვილი და საშუალო კომპანია შემოწმდება – სს „თელასი“; სს „ენერგო პრო ჯორჯია“; სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“; შპს „ყაზტრანსგაზ თბილისი“; შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“; შპს „საქორგგაზი“; შპს „ჩირაღდანი – XXI საუკუნე“; შპს „ვარკეთილაირი“; შპს „ტაბა“ და სხვ.

საბანკო სისტემის მთელ აქტივებს თითქმის ორი ბანკი ინაწილებს

2016 წლის ნოემბრის მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სექტორი წარმოდგენილია 16 ბანკით. „თი ბი სი ბანკი“-სა და ბანკი რესპუბლიკას გაერთიანების შემდეგ, საბანკო სისტემის მთლიანი აქტივების 68% მოდის ორ უმსხვილეს ბანკზე: „თი ბი სი ბანკი“ (35%) და „საქართველოს ბანკი“ (33%). უმსხვილეს ბანკებში ასევე შედის ლიბერთი ბანკი 6%-იანი წილით და „ვი თი ბი ბანკი“ 5%-ით.

PMCG-ს მონაცემებით, 2016 წლის ნოემბრის მდგომარეობით, კომერციული ბანკების მთლიანმა წმინდა მოგებამ 567 მლნ. ლარი შეადგინა რაც 25.1%-ით (114 მლნ. ლარი) აღემატება 2015 წლის შესაბამის მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ გაზრდილია კომერციული ბანკების პროცენტული შემოსავლები (8.0%, 159 მლნ. ლარი) და ხარჯები (8.9%, 75 მლნ. ლარი), ხოლო მნიშვნელოვნადაა შემცირებული არაპროცენტული შემოსავლები (-28.9%, -337 მლნ. ლარი) და ხარჯები (-24.5%, -337 მლნ. ლარი). არასაპროცენტო ხარჯებისა და შემოსავლების შემცირება უმეტესად, ვალუტის კურსის გათვალისწინებით, სესხებისა და დეპოზიტების გადაფასების შედეგია.

ტურისტებმა ორმილიარდიანი მოგება მოგვიტანეს

საქართველოში ჩამოსული ტურისტების რაოდენობა ნახევარი მილიონით გაიზარდა, ხოლო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა 2 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა, – ტურიზმის მიმართულებით არსებულ დადებით სტატისტიკას საქართველოს პრემიერ-მინისტრი გამოეხმაურა.

გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, ის, რომ 2016 წელს საქართველოს 6 მილიონ 350 ათასზე მეტი საერთაშორისო მოგზაური ეწვია და მიღებულია 2 მილიარდზე მეტი შემოსავალი, ძალიან კარგი შედეგია.

„ეს არის იმ საერთო ძალისხმევის შედეგი, რომელ-

საც ჩვენ ვახორციელებთ, როგორც ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით, ასევე, საქართველოს, როგორც მიმზიდველი ტურისტული მიმართულების საერთაშორისო პოზიციონირების კუთხით. ვფიქრობთ, ინვესტიციები, რომლებსაც ვახორციელებთ ოთხსეზონიანი კურორტების შექმნის, ასევე ტურისტული მიმართულებებისკენ ახალი გზების მშენებლობის კუთხით და ზამთრის კურორტებზე საჯარო-კერძო პარტნიორობის მოდელების განხორციელების მიმართულებით, კიდევ უფრო გასაფართოებელია, რადგან მას მოაქვს კონკრეტული შედეგები, ადგილობრივი ბიზნესისა და ადგილობრივი მცხოვრებლების

რუსი ექსპერტები ქართულ რძის პროდუქტებს თბილისში შეამოწმებენ

სურსათის უვნებლობის სამსახურის უფროსი ზურაბ ჩეკურიშვილი მოსკოვში, მის რუს კოლეგას სერგეი განკვერტს შეხვდა. რუსეთის ფიტოსანიტარიისა და ვეტერინარიის სამსახურის ოფიციალური ინფორმაციით, შეხვედრაზე ჩეკურიშვილმა გაახმოვნა ქართული მხარის ინტერესი მიაწოდოს რუსულ ბაზარს ქართული ყველი და რძის პროდუქტები. შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ ქართულ საწარმოებს რუსი ექსპერტები უახლოეს მომავალში შეამოწმებენ. ქართულმა მხარემ თავის მხრივ, ინფორმაცია მიაწოდა რუსულ მხარეს, რომ თბილისი დაინტერესებულია რუსული მარცვლეული კულტურების ხარისხით, ქართულ ბაზარზე მათი შემდგომი მიწოდებისთვის.

საქართველოში ცხოველთა ახალ დაავადებას ებრძვიან

2016 წლის მიწურულს საქართველოში მსხვილფეხა საქონელზე ნოდულარული დერმატიტის ვირუსი დაფიქსირდა, რასაც პირუტყვის მასობრივი ვაქცინაცია მოჰყვა.

თებერვალში, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ექსპერტთა მისია საქართველოში სემინარსა და ტრენინგებს ჩაატარებს. ტრენინგები რისკების მენეჯმენტს, ცხოველთა ვაქცინაციასა და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის მეთოდებს მოიცავს.

„მსგავსი სემინარი დროულია, რადგან გაზაფხულზე, კოღოების, ბუზებისა და დაავადების გადამტანი სხვა მწერების გააქტიურება ნოდულარული დერმატიტის გავრცელების საფრთხეს წარმოშობს“, – განაცხადა საქართველოს მთავარმა ვეტერინარმა მიხეილ სოხაძემ.

მსხვილფეხა პირუტყვის ახალი, საშიში ვირუსი პირველად 2013 წელს თურქეთში დაფიქსირდა, შემდეგ კი მალევე გავრცელდა რუსეთსა და საბერძნეთში. ამჟამად დაავადების გარვცელების საფრთხის წინაშე მთელი ევროპა დგას. საფრთხის აღკვეთის მიზნით, FAO რეგიონში მსხვილ პროექტებს განახორციელებს.

ნოდულარული დერმატიტი მსხვილფეხა პირუტყვის ვირუსული დაავადებაა, რომელიც ცხელებით და კანქვეშა კვანძების წარმოქმნით ხასიათდება. საქონელს უზიანდება თვალი, სასუნთქი და საჭმლის მომნელებელი სისტემის ლორწოვანი გარსი. დაავადების გავრცელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მწერები (ვექტორები), რომელთაც დაავადება მექანიკურად გადააქვთ.

ნოდულარული დერმატიტით მხოლოდ მსხვილფეხა პირუტყვი ავადდება. ადამიანზე ნოდულარული დერმატიტით არ ვრცელდება, თუმცა დაავადება მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზიანს აყენებს მესაქონლეობას. გართულებულმა შემთხვევებმა, შესაძლოა, ცხოველის დაღუპვაც კი გამოიწვიოს.

ინდოეთის მიმართულებით რეგულარული ფრენები იწყება

2017 წლის 9-11 იანვარს საქართველოსა და ინდოეთის რესპუბლიკის საავიაციო ხელისუფლებებს შორის „საქართველოსა და ინდოეთის რესპუბლიკას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ შეთანხმების“ ტექსტზე მოლაპარაკებები გაიმართა. მოლაპარაკებების დასრულების შემდგომ მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

მოლაპარაკებების ფარგლებში მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომელიც ქართულ მხარეს ინდოეთის უმსხვილეს საერთაშორისო აეროპორტებში რეგულარული ფრენების განხორციელების შესაძლებლობას მისცემს, კერძოდ, ისეთ ქალაქებში როგორიცაა დელი, მუმბაი, გოა, ჩენაი, ჰაიდერაბადი, ბენგალურუ. აღნიშნულ მომენტამდე კი რეგულარული ფრენების განხორციელება მხოლოდ დელის მიმართულებით იყო შესაძლებელი. მხარეებს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება საწყის ეტაპზე თითოეული მხრიდან კვირაში 21 სიხშირით ფრენაზე, აქამდე მოქმედი მემორანდუმის შესაბამისად ქვეყნებს შორის ფრენების განხორციელება შესაძლებელი იყო მხოლოდ 4 სიხშირით.

აღნიშნულ მოლაპარაკებებს წინ უძღოდა 2016 წლის 10 ნოემბერს ინდოეთის სამოქალაქო ავიაციის მინისტრის გაჯაპათ რაჯუს სამუშაო ვიზიტი საქართველოში.

მხარეებს შორის ორმხრივი მთავრობათაშორისი შეთანხმების უახლოეს მომავალში გაფორმება სამართლებრივ საფუძველს შექმნის საქართველოსა და ინდოეთს შორის პირდაპირი ავიაფრენების დასაწყებად, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს როგორც ტურიზმის განვითარებას, ასევე თანამშრომლობის გაღრმავებას ვაჭრობის, ინვესტიციებისა და სხვა მიმართულებით.

საქართველოში კიდევ 3 ახალი საწარმო იქმნება

გადაწყვეტილება მთავრობამ გუშინდელ სხდომაზე მიიღო.

სახელმწიფო პროგრამის – „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ აღდგომლიანთკარში შეიქმნება სამშენებლო მასალების მწარმოებელი საწარმო და განხორციელდება 1 300 000 ლარამდე ინვესტიცია.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, ქვედა ჩხოროწყუში, შეიქმნება თხილისა და დაფნის გადამმუშავებელი საწარმო, რომლის ინვესტიცია 130 000 ლარია;

ჩაის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნაგომარში შეიქმნება ჩაის გადამმუშავებელი საწარმო. კომპანიას იჯარის უფლებით 25 ჰექტარი მიწის ფართობი გადაეცემა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეფასებით, თითოეული ახალი საწარმოს შექმნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან სახელმწიფოს მიერ დაწყებული ეს პროექტები, უპირველეს ყოვლისა, ადამიანებს აძლევს საშუალებას, წამოიწყონ საკუთარი საქმე და ასევე, დაასაქმონ ათობით ადგილობრივი მცხოვრები.

◎ ჩოგბურთი

ვაჟები - თბილისში, ქალები - ტალინში

თებერვლის პირველ დეკადაში ჩოგბურთელ ქალ-ვაჟთა საინტერესო გუნდური ორთაბრძოლები გაიმართება. 3-5 თებერვალს თბილისის ახალ სპორტის სასახლეში დევისის თასზე მეორე ევროაფრიკული ზონის გუნდები — საქართველოს და ფინეთის ნაკრებები შეხვდებიან ერთმანეთს. მეტოქეები შარშანაც მე-2 ზონაში იყვნენ, სადაც სუომელებმა პირველ მატჩში ზიმბაბვეს კი აჯობეს 4:1, მაგრამ ზედა ეშელონში დასაწინაურებლად ქართველ ჩოგბურთელთა მძლეველ (5:0) დანიელებთან დამარცხდნენ 2:3. ჩვენებმა მეორე წრეში ზიმბაბვეს მოუგეს 3:2 და ჯგუფში ადგილი შეინარჩუნეს. ფინეთს ყოველთვის ჰყავდა ძლიერი ნაკრები. მათი ვეტერანი ჩოგბურთელი, 35 წლის იარკო კალერვო ნიემინენი გუნდის კაპიტანია, მაგრამ არ არის გამორიცხული, როგორც შარშან, თბილისშიც დაიცვას საკუთარი ქვეყნის ღირსება. 2006 წლის 10 ივლისის რეიტინგით იგი მე-13 იყო, ხოლო 2008 წელს ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხედფინალში ითამაშა. მსგავსი წარმატებები წინა წლებშიც ჰქონდა უიმბლდონსა და ამერიკის ღია პირველობაზე, წყვილებში 2008 წლის 28 იანვარს 42-ე ადგილი ეკავა კლასიფიკაციაში, 2010 წელს ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში ითამაშა, ოლიმპიური თამაშების ორგზის (2004, 2012) მონაწილეა.

წყვილებში რეიტინგით მე-7 ადგილზეა ფინელთა გუნდის 26 წლის წევრი ჰენრი კონტინენი. შარშან მან მიქსტში უოტსონთან ერთად უიმბლდონის ტურნირი მოიგო, ვაჟთა წყვილებში მეოთხედფინალს უწია, ხოლო პარიზის მასტერსზე პირველი ადგილი დაიკავა. საქართველოს ნაკრების ლიდერია კლასიფიკაციით 94-ე საფეხურზე მყოფი ნიკოლოზ ბასილაშვილი. ჩვენს გუნდში მეორე ნომერია გიორგი ცივაძე, ნაკრების მესამე-მეოთხე ნომრები კი არიან ვაჟა შუბლაძე და ზურაბ ტყემალაძე.

ფედერაციის თასზე ევროაფრიკული პირველი ზონის ჩოგბურთელი ქალები 6 თებერვლიდან ტალინში მოიყრიან თავს. ესტონეთის დედაქალაქში 14 ქვეყნის წარმომადგენლები ითამაშებენ: ავსტრია, ესტონეთი, ისრაელი, სერბეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, საქართველო, ლატვია, თურქეთი, ბულგარეთი, დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი, ხორვატეთი, უნგრეთი და პორტუგალია. ზედა ეშელონში დასაწინაურებლად თუ ვის შეხვდებიან ჩვენები (სოფიო შაფათავა, ეკატერინე გორგოძე, ოქსანა კალაშნიკოვა და მარიამ ბოლქვაძე, კაპიტანი მარგარიტა ჩახნაშვილი-რანცინგერი), ეს მოგვიანებით გაირკვევა.

ლექსო ცინცაძე

◎ ლეგიონერი

ზაზას 8 ქულა და 6 მოხსნა

„გოლდენ სტეიტმა“ ნბა-ს რეგულარული სეზონის მორიგ საშინაო ბრძოლაში შინ „მაიამი ჰიტი“ 107:95 დაამარცხა. ზაზა ფაჩულია ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იმყოფებოდა და პარკეტზე 23 წუთი დაჰყო. ამ დროში ზაზამ გუნდს 8 ქულა, 6 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა შესძინა. ფაჩულიამ 5-დან სამი ორქულიანი და 2-დან ორი საჯარიმო ჩააგდო.

რაც შეეხება უშუალოდ გუშინდელ შეხვედრას, მატჩის ბედი მესამე პერიოდში გადაწყდა, რომელიც „მეომრებმა“ 26:14 მოიგეს.

ოკლენდელთა შორის 28 ქულით კევინ დიურანტი გამოირჩა, ხოლო „მაიამიში“ ამდენივე ქულით და 20 მოხსნით ჰასან უაიტსაიდი გახლდათ საუკეთესო.

„გოლდენ სტეიტი“, რომელიც 33 მოგებით და 6 მარცხით ლიდერია, ხვალ შინ „დეტროიტს“ დაუპირისპირდება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფარიკაობა

მე-15 ადგილს დასჯერდა

ახალგაზრდა მოხმალავეთა მსოფლიოს თასს უნგრეთის დედაქალაქმა ბუდაპეშტმა უმასპინძლა. პირად-გუნდურ შეჯიბრებაში 166 ვაჟი და 125 გოგონა მონაწილეობდა. მათ შორის სამ-სამი მოფარიკავე საქართველოდან გახლდათ. ჩვენებურთაგან სხვებზე უკეთ ნიკა შენგელიამ იასპარეზა: ჯგუფში მან ოთხ მეტოქეს სძლია: უნგრელ მორ მილაშინს (5:0), ავსტრიელ კლემენს მაურერს (5:0), ფრანგ მატიე ბელკესამს (5:3), ესპანელ მატეუ სლავომირსკის (5:3) და ერთადერთი შეხვედრა გერმანელ პაულ ბონაჰისთან დათმო — 2:5. შენგელიამ პლეიოფში სამი კონკურენტი ჩამოიშორა გზიდან — ფრანგი მაელ ჰუჩე (15:5), რუმინელი გეორგ დრაგომირი (15:11) და ესპანელი პერე ანდრეუ (15:9). მერვედფინალში ისევ გერმანელ პაულ ბონაჰის გადაეყარა, მაგრამ ამჯერადაც დამარცხდა 9:15 და მე-15 ადგილს დასჯერდა.

გივი გაგუა

◎ უკვდავების ბინადარი

მიშა მესხი გულდაწყვეტილი წავიდა ამქვეყნიდან

დღეს ქართული ფეხბურთის ლეგენდას 80 წელი შეუსრულდებოდა...

მახსენდება 1959 წელი, როდესაც თბილისის „დინამო“ საფრანგეთში ტურნეს მართავდა. ათასობით პარიზელმა ინანა, რომ არ მივიდა იმ საღამოს სტადიონზე თბილისის „დინამოს“ სოლო კონცერტის სანახავად. ერთ-ერთი — მარცხენა გარემარბი მიხეილ მესხი, რომელმაც აყვირა პარიზელები „მიშელ“! „მიშელ“! თავისი ფინტებითა და ტექნიკური თამაშით გამოირჩეოდა.

ამ თამაშის მერე პარიზელებმა ასეთი შეფასებაც მისცეს დინამოელებს: საბჭოთა ფეხბურთის ბრაზილიელები ჩამოვიდნენო. სწორედ ასე წერდა სპორტული გაზეთი „ეკიპი“, როდესაც ტიტულოვან პარიზის „რასინგს“ 6:2 მოუგეს. ცნობილი ფრანგი სპორტული მიმომხილველი გაბრიელ ანო აღფრთოვანებული იყო: მესხი თავბრუდამხვევი ფინტებით და სისწრაფით საფრანგეთის ნაკრების გამოცდილ მცველს, ფრთხილსა და სწრაფ ბატაშას მოედანზე აფორთხიალებდაო. გაზეთ „ფრანს ფუტბოლში“ ალექსანდრე ვიტბერგი წერდა: პარიზი გადარია მტკვრის ნაპირებზე გაზრდილმა გარინჩამ.

1960 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრები ევროპის თასის ფინალში გავიდა და უეფამ ეს ფინალი პარიზში დანიშნა. საბჭოთა ნაკრებმა ევროპის თასი აიღო. როდესაც ევროპის ჩემპიონების გვარებს ასახელებდნენ, პარიზელები „ვივას“ ძახილით ამკობდნენ საბჭოთა ფეხბურთელებს, აი, როცა მოვიდა მიშა მესხის სახელისა და გვარის გამოცხადების დრო, მთელი სტადიონი ფეხზე ამდგარი ყვიროდა — „ვივა, მესხი!“ „ვივა, მესხი“! თურმე არ დავიწყებიათ მიშას თამაში 1959 წელს.

ამის შემდეგ საბჭოთა კავშირის ნაკრები ბრაზილიაში ჩავიდა ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად. თამაშს დაესწრო ამერიკელი სენატორი რობერტ კენედი, რომელიც მოიხიბლა მესხის თამაშით. ეს მატჩი 2:2 დასრულდა. თამაშის მერე რობერტ კენედი გასახდელში ჩავიდა და მიშასთან შეხვედრა მოითხოვა. მე ფეხბურთის დიდი მოყვარული ვარ, ნანახი მაქვს საერთაშორისო

სენატორი რ. კენედი, ელჩი ალექსანდროვი, მ. მესხი და ვ. მასლაჩენკო. „მარაკანას“ სტადიონი, 1965 წ.

თამაშები და დღეს ამ სანახაობით განსაკუთრებით დიდი სიამოვნება მივიღე. მიშა მესხის ფინტები მართლაც გამაოგნებელია, ამიტომ გადავწყვიტე თქვენი გაცნობა — უთხრა სენატორმა მიშას. მეორე დღეს გაზეთები აჭრელებული იყო ამ ფაქტის ამსახველი ფოტოებით. მიშამ იყიდა რამდენიმე გაზეთი. ჩვენმა სუკმა გაზეთები ჩამოართვა, მხოლოდ 3 ცალი დაუტოვა. ეს სურათი სწორედ იმ გაზეთიდან არის გადაღებული. ის ქალბატონმა ქეთევანმა, მიშას მეუღლემ მომცა...

მე და მიშა ბავშვობიდან ვიცნობდით ერთმანეთს — ერთ უბანში დავიბადეთ და გავიზარდეთ. მიშას ხასიათი და სითბო კარგად ვიცოდი. ის კეთილი, მეგობრების და თავისი ხალხის მოყვარული, განსაკუთრებული სულის მქონე ადამიანი

დიდი მადლობა სწორუპოვარო სპორტსმენო, დიდო კაცო იმისთვის, რომ შენ არსებობდი ამ ქვეყნად, რომ მილიონობით ადამიანს ამხელა სითბოს და სიხარულს ანიჭებდი... შენი ფენომენური თამაშით აღაფრთოვანე მთელი მსოფლიო. შენს სახელს დავიწყება არ უწერია. ის მარადიულია! შენი სული ალბათ სიმშვიდეს ვერ პოულობს, „ავაზა“ წაგართვეს: თურმე „ოფიციალურად გაფორმებული“ არ გქონია.

ილიამ ბრძანა, უმადურობა წალეკავს საქართველოსო. დიდმა აკაკიმ კი თქვა, — როცა უმადურია ადამიანი, მისთვის მომავალი დაკარგულიაო...

ამიტომაც გამოიყურება ქართული ფეხბურთის და მისი დღევანდელი „მამების“ მომავალი ერთობ მრუმედ!

ირაკლი (იბო) დოლიძე

მთავრობა ჩუმათელეთი-ხევის გზის საპროექტო სამუშაოებს შეისყიდის

საქართველოს მთავრობა ჩუმათელეთი-ხევის 12-კილომეტრიანი გზის საპროექტო სამუშაოების შესყიდვას იწყებს. როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, მთავრობის ოთხპუნქტიანი რეფორმების გეგმის შესაბამისად, სივრცითი მოწყობის გეგმის ფარგლებში, ოთხი წლის განმავლობაში, 800 კილომეტრი გზის დაგება იგეგმება.

„12-კილომეტრიანი მონაკვეთი, რომლის საპროექტო სამუშაოებს შევისყიდით, აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის ძალიან მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია და მის განხორციელებას უკვე იანვარში ვიწყებთ“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

ახალი გზა უსაფრთხო და კომფორტული იქნება!



საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მარნეული—თეთრიწყარო—წალკის საავტომობილო გზის 8-კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაციას ახორციელებს.

სარეაბილიტაციო მონაკვეთი იწყება ქ. თეთრიწყაროს გასასვლელთან და სრულდება სოფ. ჭივჭავის გადასახვევთან. პროექტის განხორციელების შედეგად, გაუმჯობესდება მუნიციპალიტეტებს შორის მიმოსვლა, ადგილობრივი მოსახლეობა და გზით მოსარგებლეები განახლებული გზით შეძლებენ უსაფრთხოდ და კომფორტულად მგზავრობას.

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული იყო გზის სავალი ნაწილის, ხელოვნური ნაგებობების, 1 ხიდის, 1 რკინიგზის გადამკვეთი გზაგამტარის რეაბილიტაცია და 1 ახალი ხიდის მშენებლობა.

მოეწყო ადგილობრივ გზებთან მიერთებები, ეზოში შესასვლელები, ავტობუსის გასაჩერებელი მოედნები და ავტოპავილიონები. მოეწყობა საგზაო ნიშნები და მოინიშნება გზის სავალი ნაწილი.

პროექტი 2015 წლის აპრილში დაიწყო და 2017 წლის იანვრის თვეში დასრულდება. სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა მისი ღირებულება 4 990 567 ლარია.

◎ ჯარიმა ცოლად მოყვანისთვის!

ყაზახი გოგონებისთვის ჩინელებზე გათხოვების აკრძალვა სურთ

ასტანაში უჩვეულო აქცია გაიმართა. ქალაქის ცენტრში შეკრებილმა 30-მდე აქტივისტმა ჩინელებზე ყაზახი ქალების გათხოვების აკრძალვა მოითხოვა. აქციის მონაწილეებმა გაცნობის საგენტოს არსებობაც გააპროტესტეს, რომლებიც ყაზახ გოგონებს ჩინელებზე აქორწინებენ. მათივე მოთხოვნით, ქალებს, რომლებიც ჩინელებს გაჰყვებიან ცოლად, ყაზახეთის მოქალაქეობა უნდა ჩამოერთვათ, ჩინელებს კი, ვინც ყაზახ ქალებს მოიყვანს ცოლად, 50 ათასი დოლარის გადახდა უნდა დაეკისროთ.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

სულხან-საბას ქ. №3. 293-13-34; 599 797679

შალვა მგალობლიშვილი იუწყება სოხუმელი უფროსი კოლეგის

თინა იასონის ასულ ჯღამაიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახის წევრებს.

განცხადება

2017 წლის 3 თებერვალს დღის 11 საათზე გაიმართება ს.ს. „საქსაშენმეცნიერების“ აქციონერთა მორიგი საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. 2016 წლის საფინანსო-სამეურნეო შედეგები;

2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა;

3. სააქციო საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეტანა;

4. სხვადასხვა.

სააღრიცხვო დღე — 2017 წლის 1 იანვარი.

მისამართი: კ. ქუთათელაძის ქ. №8 (ყოფილი ყაზბეგის ჩიხი 32/34).

ციხეში პატიმარს ნარკოტიკს უგზავნიდა

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპატრამენტმა პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირისთვის აკრძალული საგნის, კერძოდ, ნარკოტიკული საშუალების გადაცემის მცდელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა.

დაკავებულია მოქალაქე ნ.ჭ, რომელიც №2 პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული ბრალდებულის ს.შ-სთვის ამანათის შეგზავნის მიზნით დაწესებულების საამანათო განყოფილებაში მივიდა. შესაბამისი შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ მის მიერ წარდგენილ ს.შ-სთვის განკუთვნილ ტანსაცმელში მალულად იყო ჩაკერებული ვერცხლისფერ ქაღალდში შეხვეული ორი ცალი პოლიეთილენის პაკეტი, რომლებშიც მოთავსებული იყო 0.046141 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“. ნ.ჭ. ადგილზე დააკავეს.

სანთელი

ჩვენი ნუგზარი

პოლიტექნიკური ინსტიტუტის 70-იანი წლების „გეპეელთა“ რიგებს გამოაკლდა ერთი გამორჩეული პიროვნება, ნამდვილი თბილისელი, საძმო-სამეგობროში აღიარებული კაცი — ნუგზარ ჩიგოშვილი.

იგი სამშენებლო ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა იმ ჯგუფს განეკუთვნებოდა, ვინც რომან გვენცაძის თავკაცობით, ნარიყალას პლატოზე დედა-ციხე და წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია აღადგინა. ამ მამულიშვილურ საქმეში მას დიდი პირადი წვლილი აქვს შეტანილი, იმ მეგობრებთან ერთად, ვინც სამწუხაროდ, ბოლო წლებში ზედიზედ გამოგვაკლდნენ.

ჯერ იყო პერიპეტიებით აღსავსე სტუდენტური ცხოვრება, 2-წლიანი ყამირი შორეული ყაზახეთის პეტროპავლოვსკის ოლქში, სადაც მან დიდი აღიარება და სამთავრობო ჯილდო, მედალი „ყამირი მიწების ათვისებისათვის“ დაიმსახურა. თავის საინჟინრო-სამშენებლო ბიოგრაფია ნუგზარმა „საქწყალმშენის“ სისტემაში შექმნა რიგითი ოსტატიდან დიდი სამშენებლო სამმართველოს უფროსამდე.

„პერესტროიკის“ პერიოდის დათბობას მოჰყვა ჩვენს მიერ საქართველოში ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი და გავლენიანი წმ. დავით აღმაშენებლის სახელობის საზოგადოების შექმნა, სადაც თავი მოიყარეს იმ დროისთვის ყველაზე სახელოვანმა მწერლებმა, პოეტებმა, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა. სწორედ ნუგზარ ჩიგოშვილი იქნა არჩეული ამ საზოგადოების პირველი პრეზიდენტად.

ეს ის ორგანიზაციაა, რომელმაც ყოველგვარი სახელმწიფო დახმარებისა და საეკლესიო თანხების მოზიდვის გარეშე, საკუთარი შრომითა და თითო-ოროლა ჩვენი ძველი მეგობრის შემოწირულობით შეძლო ნარიყალას ტაძრისა და მისი შემოგარენის დედაქალაქისთვის დაბრუნება. ნუგზარს გულით ახარებდა, რომ ეკლესიის აღორძინებიდან მე-20 წლისთავზე თბილისის მერიამ ხელი მოჰკიდა ამ დიდებული ადგილის მასშტაბური რესტავრაციის საქმეს, რასაც მილიონ ლარზე მეტი მოხმარდება და ერთ-ორ წელიწადში ჩვენი დედაქალაქი მიიღებს ევროპულ-აზიური სტანდარტის ულამაზეს ისტორიულ ღირსშესანიშნაობას.

ნუგზარ ჩიგოშვილმა ქალბატონ დარეჯან კობახიძესთან ერთად შექმნა მშვენიერი თბილისური ოჯახი; მისი ქალ-ვაჟი და შვილიშვილები სახელოვანი მამისა და პაპის მზრუნველი ხელითა და მოსიყვარულე გულით არიან გამთბარნი.

ვაი, რომ აღარ გვყავს ჩვენი „ჩიგო“, ერთგული მეგობარი. მისი ამ ქვეყნად ყოფნა ყველას გვეამაყებოდა განუმეორებელი პიროვნული და ფიზიკური ხიბლის გამო. დღეს მისი ოჯახი, ნათესავ-მეგობრები გულწრფელი ცრემლებით დაიტირებენ და ნარიყალას წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიიდან სასუფევლისაკენ მიმავალ გზას დაულოცავენ ერთ-ერთ ღირსეულ თბილისელ მოქალაქეს, იმის იმედით, რომ „კიდევაც დაიზრდებიან“... და მათ ადვილად ვერავინ დაივიწყებს, რადგან გაწეული ღვაწლით მათ ძეგლი აუგეს საკუთარ ხსოვნას.

სრულიად საქართველოს
წმ. დავით აღმაშენებლის საზოგადოება.

ზაურ, ნელი ფხალაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის

ნუგზარ შალვას ძე ჩიგოშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რუსუდან, პეტრე, ალექსანდრე ჩხეიძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი ადამიანი

თამაზ ტყეშელაშვილი

განსაკუთრებულად მოყვარული და თბილი პიროვნება, არაჩვეულებრივი მეოჯახე და შვილების პატრონი, შესანიშნავი პროფესიონალი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

◎ მამული

იქაურობაზე უკეთესს რას ნახავს კაცი!...

ერთმანეთის მონაცვლე გასაოცარი რელიეფები, ულამაზესი ჩანჩქერები და თვალწარმტაცი ხეობები უამრავი მდინარეებითა და პატარ-პატარა ღელეებით, ალპური ტყეები, იშვიათი მცენარეები და ნადირ-ფრინველი — ყველაფერი ეს ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების მნახველის თვალწინ წარმოჩინდება. წლეულს სექტემბერში ლაგოდეხის ნაკრძალს, რომელიც პოლონელი ბუნების მკვლევარის ლუდვიგ მლოსკევიჩის ინიციატივით და შემდგომ ტარტუს უნივერსიტეტის პროფესორ ნიკოლოზ კუზნეცოვის მეცადინეობით შეიქმნა, 105 წელი უსრულდება.

აქ ერთმანეთს თანდათანობით ენაცვლებიან წიფლნარი, მურყნარი, რცხილნარი, არყნარი, მაღალმთის, ასევე ჭალის ტყეები, ნეკერჩხლის კორომები და მარადმწვანე დეკის ბუჩქნარი. უფრო ზემოთ კი, მაღალ მთაში, უკვე კლდეების საუფლოა.

ლაგოდეხის ხეობაში სამკურნალო თვისებების მქონე. მრავალი წყაროც გადმოედინება. ალპურ ზონაში კი რამდენიმე ულამაზესი მთის ტბაა, რომელთაგან უდიდესი — შავი კლდის ტბა — ზედ საქართველოსა და დაღესტნის საზღვარზეა.

ლაგოდეხის ნაკრძალის შექმნის უმთავრესი წინაპირობა აქაური ბუნების უნიკალურობაა. მცენარეთა 121 სახეობა კავკასიის, 9 — საქართველოს, ხოლო 7 — თავად დაცული ტერიტორიის ენდემია, ანუ ამ ადგილების გარდა, დედამიწის ზურგზე სხვაგან არსად გვხვდება, ცალკეა აღსანიშნავი ერთ-ერთი უიშვიათესი სახეობის — ჯერ კიდევ მესამეულ პერიოდში გაჩენილი უთხოვარის ხეთა თითქმის თხუთმეტსაუკუნოვანი ეგზემპლარები. ასევე ადგილობრივი ენდემია ლაგოდეხისა და კონტრიშის ჭიაყელები, კიდევ როჭო და შურთხი. ლაგოდეხის მთებში მრავლადაა ჯიხვი, არჩვი, ფოთლოვანი ტყის ბინადარი კეთილშობილი ირემი. აღსანიშნავია ისიც, რომ ლაგოდეხის გარდა, კეთილშობილი ირემი საქართველოში, სამწუხაროდ, სხვაგან აღარსად გვხვდება. საბოლოო ანგარიშით კი ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე საქართველოს ძუძუმწოვართა თითქმის ნახევარი — 40 პროცენტი ბინადრობს.

ნინო ალექსანდრია

◎ ინტერნეტიდან

ნიდერლანდეს ტალიკ-ტალიკი გეგმები

ნიდერლანდებში ხმა დაირხა, ვესლი სნეიდერის შხვართი ცოლი იოლანდა სნეიდერი ევროპასა თუ თურქეთში მრავალწლიანი ცხოვრების შემდეგ საბოლოო ნავსაყუდელს კვლავ ნიდერლანდებში იბევებსო და საამისოდ თურმე ისეთი ტალიკ-ტალიკი გეგმები დაუწყვია — თქვენი მოწონებული.

სანამ ვესლი წარმატებული და ცნობილი ფეხბურთელი იყო, იოლანდა ცდილობდა მოდელობით დაეგდო საყოველთაო სახელი და ამ თავისი ხელობით საკმაოდ დიდი დანაზოგიც გამოიმუშავა. ჰოდა, ახლა იოლანდა დიდ გაწამაწიაშია და ისეთ ბიზნესს ეძებს, სადაც ამ თავის წვითა და დაგვით ნაგროვებ ფულს ჩადებს.

ჟურნალისტებთან საუბარში იოლანდა დარწმუნებით ამბობს, რომ სამოდელო საქმეში ფულის ჩადებას არ ეშურება, რადგან მისთვის პოდიუმზე კოხტად გავლა-გამოვლა ოდენ წარსულის სილაღეა და ბიზნესს უფრო პრაქტიკული კუთხით უყურებს. გახსნას მაშინ ბატონო დიდი ხის „ცეხი“ და მასალას ახლობლები ბორჯომიდან მიაწვდიან.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ რას არ გაიგებ!

ნორვეგიამ ანალოგურ რადიომაუწყებლობაზე უარი თქვა

ნორვეგია მსოფლიოში პირველი ქვეყანა გახდება, სადაც ანალოგური რადიომაუწყებლობა შეწყდება. საზოგადოების მხრიდან მწვავე რეაქციის მიუხედავად, ხელისუფლებამ FM-ტრანსლატორების გათიშვის გადაწყვეტილება მიიღო. ანალოგური რადიომაუწყებლობის ნაცვლად მსმენელები ციფრულ მაუწყებლობაზე გადავლენ.

ტოპ-მენეჯერს კორუფციაში ადანაშაულებენ

სამხრეთ კორეაში აგორებული კორუფციული სკანდალი, რომელშიც პრეზიდენტი პან კინ ხეც ფიგურირებს, სამსუნგსაც შეეხო. გამომძიებლებმა კომპანიის ტოპ-მენეჯერი ლი ჩე იონი დაკითხეს. ბრალდების მხარის მტკიცებით, სამსუნგი პრეზიდენტის მეგობრის, ჩხვე სუნ სილის მიერ კონტროლირებად არაკომერციულ ფონდებში სოლიდურ თანხებს რიცხავდა. სწორედ ამ ფონდების გამო დაიწყო კორუფციული საქმის გამოძიება, რამაც სამხრეთ კორეის ლიდერის რეპუტაცია შეიწირა.

◎ ანეკდოტები

საუბარი თეატრის გარდერობში:

— დაკიდეთ, თუ შეიძლება, ჩემი ქურთუკი.

— ვერ დავკიდებ, იმიტომ, რომ საკიდი არა აქვს.

— არა უშავს, კაპიუშონით ჩამოკიდეთ.

— არ ჩამოვკიდებ, თქვენ საკიდი არა გაქვთ!

— კაი რა, პატივცემულო, სპექტაკლი სადაცაა დაიწყება!

— არ დაიწყება, აბა ნახე: აგერ, მაყურებლებიც, მსახიობებიც სხედან, საკიდებს აკეთებენ!..

* * *

წერილი საგადასახადო ინსპექციიდან:

„პატივცემულო გადასახადების გადამხდელო! გიბრუნებთ გადასაკეთებლად თქვენს საშემოსავლო დეკლარაციას. სვეტში „კმაყოფაზე მყოფნი“ არ შეიძლება შემდეგი კატეგორიის მოქალაქეთა მითითება: სახელმწიფო ჩინოსნები, დეპუტატები, პოლიტიკოსები“.

* * *

— ჟიჟიკია, გძინავს?

— არა.

— აჰა, თვალები რატომ გაქვს დახუჭული?

— მხედველობის ეკონომიას ვეწევი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7403; ევრო - 2.9023;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3311;
100 რუბლი - 4.5681; თურქული ლირა - 0.7263;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5190;
1000 სომხური დრამი - 5.6501.

ამინდი 12 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	-4	დღე +10
მთიანი რაიონები -	ღამე	-12	დღე +7
დასავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	-2	დღე +16
მთიანი რაიონები -	ღამე	-8	დღე +11
თბილისი:	ღამე	-1	დღე +10

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE